საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
27

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
21 იანვარი
1940 წ.
№ 17 (5718)
ფასი 10 კაპ.

დღეს შესრულდა თექვსმეტი წელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

ლენინის იდეები უკვდავია, ლენინის ანდერძი განხორციელებულია.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისშემძლე მოძღვრებას!

ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს

თექვსმეტი წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, მოსკოვის ახლოს, გორკაში, გარდაიცვალა ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. სამუდამოდ შეწყდა გულისცემა უდიდესი პროლეტარული სტრატეგისა, რომელმაც გარდაჰქმნა ადამიანთა საზოგადოება, სამუდამოდ ჩამოგვშორდა ჩვენი მშობლიური ლენინი — რევოლუციის გენია, რევოლუციურ შეჯახებათა უდიდესი ოსტატი.

მთელი მსოფლიოს მშრომელმა კაცობრიობამ დახარა თავი თავისი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის კუბოს წინაშე, ყველა ქვეყნის ჩაგრულ და განაწამებ ხალხთა მასებმა იგლოვეს სიკვდილი იმ ადამიანისა, ვინც მთელი თავისი შესანიშნავი და ნათელი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს, ვინც რეალურ სინამდვილედ აქცია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა მრავალსაუკუნოებრივი ოცნება და მთელი მსოფლიოს მშრომელებს გაუკაფა ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების გზა.

დიდი ლენინის გარდაცვალების საშინელ დღეებში, საყოველთაო-სახალხო გლოვისა და მწუხარების დღეებში, ვით წმინდა აღთქმა, გაისმა ლენინის ერთგული მოწაფის ამხანაგ სტალინის დიადი ფიცის სიტყვები. ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა ჩვენი პარტიის სახელით, მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხის სახელით თავისი მასწავლებლის კუბოსთან დასდო წმინდა ფიცი — ბოლომდე განეხორციელებინა ლენინის უკვდავი იდეები, ღირსეულად შეესრულებინა ლენინის ანდერძი. ამხანაგმა სტალინმა აღთქმა დასდო მაღლა დაგვეჭირა და წმინდად დაგვეცვა პარტიის წევრის დიადი სახელწოდება; თვალისჩინივით გაგვფრთხილებოდით პარტიის ერთიანობას; დაგვეცვა და განგვემტკიცებინა პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალღონით განგვემტკიცებინა მუშათა და გლეხთა კავშირი; განგვემტკიცებინა და გაგვეფართოებინა რესპუბლიკების კავშირი — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა; განგვემტკიცებინა ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი; განგვემტკიცებინა და გაგვეფართოებინა მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი.

16 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მთელი პარტიის სახელით დასდო ეს დიადი ფიცი, და დღეს ყველა ხედავს, რომ ეს წმინდა აღთქმა ბრწყინვალედაა შესრულებული.

მიდიოდა რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ განვლილი 16 წლის მანძილზე მოიპოვა ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები. ჩვენი ქვეყანა ნახევრად-კოლონიური, ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, გადაიქცა თანამედროვე პირველხარისხოვანი ინდუსტრიისა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, მოწინავე კულტურისა და პროგრესის ქვეყნად. სოციალიზმი ჩვენში უკვე დიდიხანია შევიდა ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ ბრწყინვალედ დაამტკიცა თავისი აშკარა უპირატესობა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე. მარტო ფოლადის გამოდნობა და ქვანახშირის ამოღება ჩვენში ოთხჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე მემამულურ-კაპიტალისტურ რუსეთში იყო. მრეწველობის პროდუქციას კი ჩვენში ათჯერ უფრო მეტს ვამზადებთ.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მისპო და გაანადგურა სოციალიზმის მტრები და დაიცვა თავისი რიგების ერთიანობა და მონოლიტობა. არასოდეს არ ყოფილა ჩვენი პარტია ისე ერთიანი და ძლიერი, როგორც იგი დღეს არის. პარტიამ შეინარჩუნა და განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურა. მუშათა კლასის დიქტატურა რჩება სტალინური კონსტიტუციის ურყევ საფუძვლად, კონსტიტუციისა, რომელშიაც აღბეჭდილია სსრ კავშირის ხალხთა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი. საბჭოთა ხალხი, ახორციელებს რა დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, ყოველნაირად ამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, და შემდეგშიაც განამტკიცებს მას, ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო მუშათა და გლეხთა კავშირის არნახული განმტკიცება, სსრ კავშირის ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა. განვლილი 16 წლის მანძილზე მუშების და გლეხების კავშირის ბუნება მნიშვნელოვნად შეიცვალა, — იგი გადაიქცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობად. ეს ერთიანობა და სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა შესანიშნავად იქნა დემონსტრირებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებში, როდესაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების დიადმა სტალინურმა ბლოკმა.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა განემტკიცებინა ჩვენი წითელი არმია და ჩვენი წითელი ფლოტი. დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად წითელი არმია გადაიქცა მტრებისათვის მრისხანე ძალად, რომელმაც არაერთხელ უჩვენა იმპერიალისტ ყაჩაღებს თავისი იარაღის გამანადგურებელი ძალა. წითელი არმიის სახელოვანმა მებრძოლებმა, საბჭოთა ხალხის ერთგულმა შვილებმა პატრიოტიზმისა და გმირობის სასწაულები გვიჩვენეს იაპონელ სამურაებთან ბრძოლაში ხასანის ტბასთანაც და მონღოლეთის მინდვრებზეც.

წითელმა არმიამ სახელოვნად შეასრულა თავისი ისტორიული მისია, — გაანთავისუფლა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები პოლონელი პანების მძიმე უღლისაგან და შემოუერთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად სტალინურ ოჯახს ცამეტი მილიონი ჩვენი ძმა. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განუყოფელ ნაწილად გადაიქცა, ვერასოდეს ველარ იბოგინებენ ხალხის მჩაგვრელები, საზიზღარი პოლონელი პანები.

ამჟამად ჩვენი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მამაცი მებრძოლები ძმური დახმარების ხელს უწვდიან ფინელ ხალხს, ეხმარებიან რა მას თავისი მტრის მანერჰეიმ-ტანერის პლუტოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განამტკიცა და გააფართოვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მტკიცედ უპყრიათ ხელში ლენინურ - სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშა. ისინი თავიანთი დიადი გამარჯვებებით მთელი მსოფლიოს მშრომელ კაცობრიობას უჩვენებენ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების გზას, პრაქტიკულად თვალნათლივ უმტკიცებენ მათ, რომ ის, რასაც მიაღწიეს სსრ კავშირის მშრომელებმა, სავსებით შეიძლება მიღწეულ იქნას სხვა ქვეყნების მშრომელთა მიერაც.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველჰყო მშრომელთა კულტურულ - მატერიალური პირობების არნახული გაუმჯობესება. ამჟამად საბჭოთა ხალხი ცხოვრობს შეძლებულად, საამურად და ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას, რათა მოიპოვოს კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი, უზრუნველჰყოს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლა.

ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი მზრუნველობით ზრდის ადამიანებს, ახალ კადრებს. იგი დაუღალავად გვასწავლის ვიყოთ ლენინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები. ამხანაგი სტალინი გვასწავლის ვიყოთ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორიც იყო ლენინი, ვიყოთ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, ვიყოთ ისეთივე თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, როგორც თავისუფალი იყო პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან ლენინი; ვიყოთ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, ვიყოთ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი და ისევე გვიყვარდეს ჩვენი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს.

ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გზით. კაპიტალისტური მსოფლიო კი სულ უფრო-დაუფრო სწრაფად მიექანება დაღუპვისაკენ. მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი დაღუპვით ემუქრება ადამიანთა ახალ მილიონებს. და კაპიტალისტური წყობილების ამ საბედისწერო ხანაში ყველა ქვეყნის მშრომელთა თვალები მოპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც მათთვის გზის მაჩვენებელი შუქურაა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი და აშკარა ხდება, რომ დიდი ლენინის მიერ დასმული ისტორიული კითხვა: „ვინ-ვის?" —საერთაშორისო ასპარეზზეც სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდება.

შეგვიძლია ეჭვი არ შევიტანოთ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც საერთაშორისო მუშათა კლასი მთელ მსოფლიოში ააფრიალებს ლენინის დიად და უძლეველ დროშას.

შეგვიძლია არ დავეჭვდეთ, რომ, წავლენ რა ლენინური გზით, მთელი მსოფლიოს მშრომელნი, მალე დაამკვიდრებენ სოციალისტურ წყობილებას, და ეს იქნება დიდი ლენინის საუკეთესო ძეგლი, ძეგლი, რომლის მუდამ ბრწყინვალე და მოელვარე, თვალისმომჭრელი შუქი გადასწვდება უთვალავ საუკუნეებს.

ლენინის საქმე უკვდავია, ისე როგორც უკვდავია თვით ის ხალხი, რომელსაც ხელში უპყრია ლენინის დროშა და ამ დიადი დროშით მიიბრძვის კომუნიზმისაკენ.

ლენინის საქმე საიმედო ხელშია. 16 წელია, რაც მივდივართ ჩვენ ულენინოდ, ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, და შეგვიძლია ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ჩვენი მშობლიური სტალინი, ბოლომდე ერთგული თავისი საყვარელი მასწავლებლისა, კვლავაც უშიშრად გვატარებს ლენინური გზით, თვით კომუნიზმის მწვერვალებამდე.

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის.
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია.
ერთადერთია,
რაც არასდროს არ მიღალატებს
დღეს ნოქარი — ხვალ
სამეფოებს მოშლი ქარტიდან.
კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი პარტია.

ჩვენი პარტია და ლენინი
ტყუპნი არიან.
ვის ამჯობინებს
ისტორია სამართლის მიერ?
ჩვენ ვამბობთ — ლენინ,
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ —
პარტია
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი.

ვლ. მაიაკოვსკი
(პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი").

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კაპიტან ნ. გ. სარანჩევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და გმირობის გამოჩენისათვის კაპიტან ნიკოლოზ გიორგის-ძე სარანჩევს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი,
1940 წლის 19 იანვარი.

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ფინელ თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: უფროსი ლეიტენანტი სიმონ ვასილის-ძე ბალბუხოვი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის-ძე კრავცოვი, უფროსი პოლიტხელმძღვანელი პავლე პროკოფის-ძე მიროშნიჩენკო, უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ ტიტეს-ძე პროცენკო და კაპიტანი მიხეილ ივანეს-ძე სკიტევი.

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულ 76 ამხანაგს შორის არიან: საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი გრიგოლ პანტელეის-ძე კრავჩენკო, უფროსი მეთაური ვასილ გიორგის-ძე ალილუევი, პოლკის კომისარი ივანე სიმონის-ძე ბელიაკოვი, ლეიტენანტი იური მიხეილის-ძე გოლუბოვსკი, კაპიტანი ვლადიმერ აბრამის-ძე ზავილოვიჩი, მაიორი ტიხონ ვასილის-ძე ლედენევი და სხვ.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია 23 ამხანაგი. მედლით **„მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია 53 კაცი და მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის"**—6 კაცი. (საკდესი).

მოსკოვ-ბერლინს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის გახსნის წინ

19 იანვარს მოსკოვიდან უკან გაფრინდა გერმანიის ორი სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ბერლინიდან 17 იანვარს ჩამოვიდა. პირველი თვითმფრინავი „დს-3"—„ბრიუნი" გაფრინდა 10 საათსა და 45 წუთზე. თვითმფრინავზე იყვნენ პირველი ფასიანი მგზავრები. 11 საათსა და 05 წუთზე გაფრინდა თვითმფრინავი „დს-3"—„მერიშოსტრაუ", რომელსაც მიაქვს მოსკოვ-ბერლინის ავიახაზისათვის განკუთვნილი ტვირთი.

20 იანვარს მოსკოვ-ბერლინის საერთაშორისო ავიახაზის აეროდრომებზე დამთავრდება მთელი მოსამზადებელი მუშაობა რეგულარული საჰაერო მიმოსვლის გასახსნელად.

21 იანვარს, ზუსტად განრიგების მიხედვით, მოსკოვიდან ბერლინს და ბერლინიდან მოსკოვს გაფრინდებიან სარეისო თვითმფრინავები. 21 იანვარს მოსკოვსა და ბერლინში მოელიან პირველ სამგზავრო მანქანებს, რომლებიც კენიგსბერგიდან გაფრინდებიან. (საკდესი).

მეორე ხუთწლედის სესხის მე-14 ტირაჟი

ჩკალოვი, 19 იანვარი (საკდესი). გუშინ საოლქო დრამატიულ თეატრში დამთავრდა მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) მე-14 ტირაჟი. გათამაშდა 196.420.000 მანეთის 1.210.000 მოგება.

ვ. ი. ლენინის ნაშრომების გამოცემა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი ხელახლა სცემს ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულს. ორტომეულში მთელი მასალა დალაგებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესაბამისად.

სახპოლიტგამომცემლობამ ლენინის დღეებისათვის დაბეჭდა და გამოუშვა ვ. ი. ლენინის წიგნი, რომელშიც შედის ლენინის მიერ 1923 წელს დაწერილი სტატიები: „დღიურის ფურცლები", „კოოპერაციის შესახებ", „ჩვენი რევოლუციის შესახებ", „როგორ უნდა გავარდაქმნათ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია", „სჯობს ცოტა, მაგრამ უკეთესი". წიგნი გამოცემულია 100 ათასი ცალი ტირაჟით.

მასობრივი ტირაჟით გამოვიდა ვ. ი. ლენინის 1905 წლის 9 იანვრის ამბებისადმი მიძღვნილ სტატიათა კრებული—„9 იანვარი". გამოცემულია აგრეთვე კრებული, რომელშიც თავმოყრილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სტატიები, სიტყვები და მიმართვები მუშებისა და წითელ არმიელებისადმი, რომლებიც ეხებიან საბჭოთა ქვეყნის დაცვას იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმისაგან, 1918-1920 წლებში ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის განადგურების ორგანიზაციას. ამ კრებულის ტირაჟი 300 ათასი ცალია.

ხელახლა გამოიცა 300 ათას ცალად ი. სტალინის წიგნი „ლენინის შესახებ".

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს კრებულს „ვ. ი. ლენინის ქალაქ სამარაში ცხოვრების პერიოდი". მზადდება დასაბეჭდად ლენინის მე-33 კრებულიც, რომელშიც შევა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შენიშვნები, კონსპექტები და სხვა მასალა, რომლებიც ეხებიან მის შესანიშნავ ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". (საკდესი).

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

20 იანვრის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მთელ რიგ რაიონებში ჩვენმა ავიაციამ წარმატებითი ბომბარდირება მოახდინა. საჰაერო შეტაკების დროს ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

მზადება „სედოვის" ეკიპაჟის შესახვედრად

(ლენინგრადი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ლენინგრადის არქტიკის მუზეუმი შეუდგა ყინულმჭრელ „სედოვის" გმირული კოლექტივის მუშაობის ამსახველი გამოფენის მოწყობას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სტალინისა და მოლოტოვის მისასალმებელი დეპეშები და კალინინის მიერ 1939 წ. 24 აგვისტოს რადიოთი გადაცემული მისალმების ტექსტი.

სპეციალურ განყოფილებაში მაყურებელი ნახავს საინტერესო მასალას: დრეიფის რუკას, სურათებს, პანოებს, დიაგრამებს; ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" და ბოტ „მურმანეცის" მარშრუტის რელიეფურ რუკას. განყოფილების ექსპოზიცია მაყურებელს გააცნობს იმ სამეცნიერო მუშაობის წინასწარ შედეგებს, რომელიც ჩაატარეს გმირმა სედოველებმა 26 თვის დრეიფის განმავლობაში.

როცა „სედოვის" ეკიპაჟი ლენინგრადში ჩამოვა, მათი ტანისამოსი, სამეცნიერო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო ნივთების დიდი ნაწილი დატოვებული იქნება არქტიკის მუზეუმში, არქტიკის ათვისების ისტორიაში ასეთი არნახული ექსპედიციისადმი მიძღვნილი სტაციონალური გამოფენის მოსაწყობად.

ამ დღეებში დამთავრდება ბეჭდვა და გამოვა ასიათასიანი ტირაჟით „გ. სედოვის" დრეიფის რუკა.

თემაზე „გ. სედოვის უკანასკნელი გზა" მუშაობს ლენინგრადელი მხატვარი მ. პლატუნოვი. სურათზე მოცემულია სახელგანთქმული რუსი მკვლევარის გიორგი სედოვის დაღუპვა იქ, სადაც ახლა მისი თანამემამულეები წარმატებით შეიცნობენ არქტიკის საიდუმლოებებს.

ო. ეზაძე

1940 წ. 21 იანვარს, სალამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში მოწვეულია პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამგლოვიარო კრება, სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით,

მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავისადმი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სხდომაზე შედიან თავისი მანდატებით, დანარჩენნი კი საშვები ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ საქ. კ. პ. (ბ) ქ. თბილისის რაიკომები.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ

19 იანვარს სტანისლავოვიდან (დასავლეთი უკრაინა) თბილისში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა 200-ზე მეტი უმუშევარი, რომელნიც მიდიან დასავლეთ საქართველოს რაიონებსა და გორში. ისინი მუდმივ სამუშაოზე იგზავნებიან კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში.

ამ უმუშევართაგან დაახლოებით 100 კაცი გაიგზავნება ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, 40 კაცი სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო დანარჩენი—საქართველოს კონსერვტრესტის ფოთისა და გორის საბჭოთა მეურნეობებში.

თბილისში ყოფნის დროს მათ დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, — გაეცნენ ქალაქს.

19 იანვარს ღამით უმუშევარნი საბჭოთა მეურნეობებში გაემგზავრნენ (საქდესი).

უკრაინის დასავლეთი ოლქების მუშები აჭარაში

ბათუმი, 20 იანვარი (ტელეფონით „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). დღეს სპეციალური მატარებლით აჭარაში ჩამოვიდა უკრაინის დასავლეთი ოლქების მუშათა ერთი ჯგუფი 117 კაცის შემადგენლობით, რომლებიც მუშაობას იწყებენ ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. მუშების უმრავლესობას თან ახლავს ოჯახის წევრები. ჩამოსული მუშებიდან 77 კაცი სამუშაოდ დარჩა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მათ ჩაქვის სადგურზე შეხვდნენ საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი მ. ნარსია, ჩაქვის მეურნეობის დირექტორი მ. თოხაძე და მეურნეობის მოწინავე სტახანოველები. 40 კაცი, რომლებიც სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში იწყებენ მუშაობას, ჩამოვიდნენ ბათუმში, საიდანაც ისინი ავტომანქანებით გადაყვანილ იქნენ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში.

მეურნეობები საუკეთესოდ მომზადებული აღმოჩნდნენ ჩამოსული მუშების შესახვედრად. მათთვის გამოყოფილია ლამაზად მოწყობილი საცხოვრებელი ბინები, სასადილოები, მომარაგებულია პროდუქტები და სხვ.

სუბტროპიკული კულტურების მოვლა - გაშენების აგროტექნიკის დაუფლების მიზნით ჩამოსული მუშებისათვის ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობებში მოეწყობა აგროტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ კვალიფიციური სპეციალისტები.

კ. დოგორჯგინიძე.

მოლოტოვის რაიონის აქტივის თათბირზე

19 იანვარს საქართველოს კ. პ. (ბ) მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა თათბირი აქტივის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლის შესახებ. თათბირს დაესწრნენ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და მდივნის მოადგილეები, ფაბრიკებისა და ქარხნების დირექტორები, მასწავლებლები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

მომხსენებელმა — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. გარსევანიძემ აღნიშნა, რომ რაიონის კომუნისტთა და უპარტიო აქტივისტების უმრავლესობა ენერგიულად სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს". ქალაქის სავაჭრო განყოფილების პარტიული ბიუროს მდივანმა ამხ. ჯაფარიძემ უკვე წაიკითხა პარტიის ისტორია და შეადგინა კონსპექტი. ამჟამად იგი კითხულობს ამხ. ლენინისა და სტალინის ნაშრომებს. ქვისსაჭრელი ფაბრიკის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა კომუნისტმა ამხ. ტეპლიცკიმ შეისწავლა პარტიის ისტორიის ყველა თავი და შეადგინა კონსპექტი.

მაგრამ ყველა კომუნისტი როდი შესდგომია პარტიის ისტორიის შესწავლას. გლეხთა სახლის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ამხ. პარასტაევი, სახლის დირექტორი ამხ. ქურხული ჯერ მხოლოდ პირველ თავს სწავლობენ. № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მან სავსებით შეისწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", მაგრამ საუბარში გამოირკვა, რომ მას წარმოდგენაც კი არა აქვს უმნიშვნელოვანეს თეორიებსა და ისტორიულ ფაქტებზე. პარტიის ისტორიის შესწავლას არ შესდგომია ამხ. სავიცკი და მესხელი (ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაცია).

არასაკმარის დახმარებას უწევს რაიონული პარტკაბინეტი იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას. პარტიული კაბინეტი არ იწვევს პარტაქტივს ლექციების თემატიკის შედგენისა და განხილვისათვის, კონსულტაციებისათვის, ნაკლებად ზრუნავს, რომ აუდიტორია მომზადებულ იქნას ლექციებისათვის.

კამათში სიტყვით გამოვიდა ამხ. გზირიშვილი (ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი), კულაკოვი („სოიუზუნივერმაგის" პარტბიუროს მდივნის მოადგილე), ალიხანოვი (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 3), დრაჩენკო („სოიუზუნივერმაგი"), უჯმაჯურიძე (პარტიული კაბინეტის გამგე), ჩოჩია (მოლოტოვის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე) და სხვ.

თათბირმა პარტიის რაიკომის ბიუროს მიანდო დასახოს ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესებულ იქნას დახმარება იმათთვის, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას (საქდესი).

კომის სახალხო პოეტ ი. ა. კურატოვის დაბადების ასი წლისთავის აღნიშვნა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ იქნას კომის სახალხო პოეტ ი. ა. კურატოვის დაბადების ასი წლისთავი და, ამასთან დაკავშირებით, სისოლის რაიონის კიბრის სოფლის საბჭოს (პოეტის დაბადების ადგილი) ეწოდოს კურატოვის სახელობის სოფლის საბჭო და სოფელ კიბრას—კურატოვის სახელობის სოფელი; მიეკუთვნოს კურატოვის სახელი სიკტივკარის პედაგოგიურ სასწავლებელს, ქალაქ სიკტივკარის № 1 საშუალო სკოლას და სოფელ კიბრის არასრულ საშუალო სკოლას, რომელიც ახლა შენდება; დაწესდეს კურატოვის სახელობის 6 სტიპენდია სიკტივკარის პედაგოგიური ინსტიტუტის სალიტერატურო განყოფილების სტუდენტებისათვის.

პოეტის სამშობლოში, სოფელ კიბრაში აგებული იქნება ი. ა. კურატოვის ძეგლი-ობელისკი.

რევოლუციური რუსეთისაკენ გზის ძიება

(ნაწყვეტი, ამოღებულია „სამოქალაქო ომის ისტორიიდან სსრ კავშირში")

თებერვლის რევოლუციამ შვეიცარიაში მოუსწრო ლენინს. გადატრიალების შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე პარტიის ბელადმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო იქ, სადაც, როგორც იქნა, იფეთქა იმ ალმა, რომელსაც იგი დაუღალავად აღვივებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ლენინს ყველაზე უკეთ ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა პერსპექტივები იშლებოდა რუსეთის რევოლუციის წინაშე და რა საშიშროებანი იდგნენ მის გზაზე. მრავალწლოვანი ბრძოლის გამოცდილებით მან იცოდა, რომ რევოლუციის ყველაზე საშიში მტრები იქნებოდნენ მისი ცრუ მეგობრები, წვრილბურჟუაზიული ჭაობის მოლაყბენი—მენშევიკები და ესერები, რომლებსაც უკვე არაერთხელ გაუყიდნიათ მუშათა კლასის ინტერესები.

„არც ერთი ბეწო ნდობა და მხარდაჭერა ახალ მთავრობას (არც ერთი ბეწო ნდობა კერენსკის, გვოზდიოვს, ჩხენკელს, ჩხეიძეს და კომპ.) და **შეიარაღებული ლოდინი, შეიარაღებული მომზადება უფრო ფართო** ბაზისა უფრო **მაღალი** ეტაპისათვის" *), იწერებოდა ლენინი შვეიცარიიდან თებერვლის რევოლუციის დაწყების რამდენიმე დღის შემდეგ პეტროგრადის ბოლშევიკთა შეკითხვის პასუხად.

ამ რიცხვით მცირე სიტყვებში დასახული იყო მოქმედებათა მთელი პროგრამა. მაგრამ დირექტივები „შორიდან" არ კმაროდა. საჭირო იყო თვითონ იგი ყოფილიყო იქ, სადაც ჩაღდებოდა რევოლუციის კოცონი, რომლის ჩასაქრობადაც რუსეთის მენშევიკების დასახმარებლად დედამიწის ყველა კუთხიდან მიეშურებოდნენ ცრუსოციალისტთა სახანძრო რაზმები.

მაგრამ როგორ უნდა მოხვედრილიყო რევოლუციურ რუსეთში? ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა ხელში იყო მიმოსვლის ყველა გზა, არ უშვებდნენ პეტროგრადში ბოლშევიკებს, ხოლო მით უმეტეს ლენინს. მათ კარგად იცოდნენ ლენინის დამოკიდებულება მძარცველური ომისადმი. კაპიტალისტებს მშვენივრად ესმოდათ, თუ რა „ზარალის" მიყენება შეეძლოთ ბოლშევიკებს მათთვის იმპერიალისტური ყაჩაღური ხოცვა-ჟლეტის გამოაშკარავებით...

ლენინი რუსეთში არ შემოუშვეს.

მან ყველა საშუალება მოიფიქრა დასახმარებლად დროებით მთავრობისადმი მიმართვა სრულიად უიმედო იყო. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა რუსეთის ყველა საელჩოსა და მისიის სახელზე დაგზავნა ცირკულარული დეპეშა:

„იმ შემთხვევისათვის, თუ რაიმე ეჭვები დაიბადება იმ პოლიტიკურ ემიგრანტთა პიროვნების შესახებ, რომელთაც სურთ რუსეთში დაბრუნება ამნისტიის აქტის ძალით, კეთილ ინებეთ და შეჰქმენით სამინისტროს თქვენდამი რწმუნებულ საზღვარგარეთულ დაწესებულებასთან კომიტეტი პოლიტიკურ ემიგრანტთა წარმომადგენელთაგან ყველა იმ ეჭვის გამოსარკვევად, რომლებიც შეიძლება ამ საკითხზე წამოიჭრას".

მილიუკოვის ეს ცირკულარი დადასტურებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ იმავე მისამართებით დაგზავნილი დეპეშით, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„ემიგრანტებისათვის პასპორტების მიცემისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ მათი სამხედრო კეთილსაიმედოობის დამოწმებით სხვა ღირსეული ემიგრანტების ან ჩვენი დეპეშის საფუძველზე შექმნილი კომიტეტების მიერ".

საეჭვო იყო რომელიმე „ღირსეულ" ემიგრანტს შესძლებოდა დაემოწმებინა ლენინის „სამხედრო კეთილსაიმედოება" იმ მნიშვნელობით, როგორც ეს დროებითი მთავრობას ესმოდა. ლენინის პოზიცია ომის მიმართ ყველამ იცოდა. საჭირო იყო განხილულიყო სხვა გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთში მოხვედრა. ნ. კ. კრუპსკაია ასე მოგვითხრობს ლენინის გეგმებზე:

„ილიჩი ჰბორგავდა, მან სთხოვა ბრონსკის შეეტყო, ხომ არ შეიძლებოდა როგორმე კონტრაბანდისტის მეშვეობით გერმანიაზე გავლით მიეღწია რუსეთში. მალე გამოირკვა, რომ კონტრაბანდისტს შეეძლო მხოლოდ ბერლინამდე მიეყვანა. გარდა ამისა, კონტრაბანდისტი როგორღაც დაკავშირებული იყო პარვუსთან, ხოლო პარვუსთან, რომელიც ომით გამდიდრდა და სოციალ-შოვინისტად იქცა, ვლადიმერ ილიჩს არავითარი საქმის დაჭერა არ სურდა.

საჭირო იყო სხვა გზის მოძებნა... ილიჩს მთელი ღამეები არ ეძინა. ერთხელ ღამით მეუბნება: „იცი, მე შემიძლია მუნჯი შვედის პასპორტით წავიდე". მე გამეცინა: „არ გამოვა, შეიძლება ძილში წამოგცდეს. ღამით კადეტები დაგესიზმრებიან, ძილში წამოიძახებ: არამზადები, არამზადებიო. ჰო-და მიხვდებიან, რომ შვედი არა ხარ". *)

ლენინს დარჩენოდა მხოლოდ ერთი გზა: გამოევლო გერმანიაზე, რისთვისაც წინადადება მიეცა რუსეთის მთავრობისათვის გაეცვალათ რუსი ემიგრანტები გერმანელ სამხედრო ტყვეებზე. საერთოდ რომ ვთქვათ, ეს გზა უკვე ნასინჯი იყო. ომის დროს თვალსაჩინო ბურჟუაზიული ლიბერალი მ. კოვალევსკი გერმანიაზე გამოვლით ჩამოვიდა, ამასთან სატახტო ქალაქის ვაგზალზე მას ზეიმით შეეგება თვით მილიუკოვი, რომელიც მაშინ მხოლოდ ოცნებობდა მინისტრი გამხდარიყო. მისასალმებელ სიტყვაში მილიუკოვს კრინტიც არ დაუძრავს, გერმანიაზე გამოვლა გამცემლობააო. იგივე მილიუკოვი — ახლა დროებითი მთავრობის მინისტრი — სულ სხვანაირად შეხვდა ვლადიმერ ილიჩს.

გერმანიაზე გამოვლის აზრი ეკუთვნოდა სრულებითაც არა ლენინს. ეს გეგმა წამოაყენა ცნობილმა მენშევიკმა მარტოვმა, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ინგლისის მთავრობა არ შეუშვებდა რუსეთში იმათ, ვინც ომის წინააღმდეგ გამოდიოდა. მარტოვის გეგმა მიღებულ იქნა ესერთა, ბუნდელთა და მენშევიკთა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე. რუსეთში გაიგზავნა დეპეშები მოთხოვნით შეეცვლიყვნენ ემიგრანტთა გაშვებას გერმანელ და ავსტრიელ ტყვეებზე გადაცვლით. ორ კვირას ამაოდ უცადეს ემიგრანტებმა პასუხს: დროებითმა მთავრობამ, როგორც ჩანს, მაუდ ქვეშ ამოსდო დეპეშები. ინგლისის და რუსეთის მთავრობები შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

მხოლოდ ამის შემდეგ ლენინმა გადასწყვიტა ცხოვრებაში გაეტარებინა მარტოვის მიერ წამოყენებული გეგმა ბოლშევიკების გამოვლისა გერმანიაზე. ითვალისწინებდა რა, თუ რა გაცოფებულ ყეფას ასტეხდნენ ამის გამო ობორონცები და ბურჟუაზია, ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა მოგზაურობის მომზადების თვითეული ღონისძიების დოკუმენტაციას...

ლენინის წინადადებით შვეიცარიის სოციალისტური პარტიის მდივანმა ფრიც პლატენმა გერმანიის წარმომადგენლებთან დასდო შეთანხმება, რომლის მიხედვით:

1) გავლის ნებართვა ეძლეოდა ყველა ემიგრანტს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება ომისადმი;

2) ემიგრანტთა ვაგონი არ უნდა გაეჩხრიკათ, არ უნდა გაეწიათ მისთვის კონტროლი ან შემოწმება;

3) ემიგრანტები კისრულობდნენ ვალდებულებას რუსეთში ჩასვლის შემდეგ მოეთხოვათ გაშვებულ ემიგრანტთა გაცვლა ავსტრია-გერმანელ სამხედრო ტყვეებზე.

სხვა ემიგრანტების ჯგუფთან ერთად ფრიც პლატენის თანხლებით, რომელმაც მოაწყო გერმანიაზე გამოვლა, 26 მარტს ლენინი გამოემგზავრა შვეიცარიიდან სტოკჰოლმში, ხოლო იქიდან ფინეთით პეტროგრადში.

ლენინი და მასთან მყოფი ბოლშევიკები გერმანიაში გავლით მიდიოდნენ განსაკუთრებული ვაგონით, ამასთან მოგზაურობის პირობების მიხედვით, გერმანიის ხელისუფალთა ურთიერთობა გამვლელებთან ნებადართული იყო მხოლოდ პლატენის მეშვეობით, — აქედან წარმოიშვა შემდეგში ლეგენდა „დაპლომბილი ვაგონის" შესახებ, რომლითაც მიდიოდნენ თითქოს ბოლშევიკები გერმანიაზე.

გზაში გერმანელთა შოვინისტებმა სცადეს საუბარი გაემართნათ ლენინთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი სთქვა მათთან შეხვედრაზე.

სულ შვეიცარიიდან წამოვიდა 32 ემიგრანტი, მათში 19 ბოლშევიკი, 6 ბუნდელი და 7 სხვადასხვა პარტიებიდან და ჯგუფებიდან. საინტერესოა, რომ შვეიცარიაში დარჩენილმა ემიგრანტებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს ლენინთან ერთად წამოსვლაზე, უკვე 30 აპრილს დაადგინეს წასულიყვნენ რუსეთში იმავე გზით, სხვანაირად რუსეთში ჩამოსვლა შეუძლებელი იყო. ამ ემიგრანტებს შორის ბოლშევიკები სულ არ ყოფილან.

---

*) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XX, გვ. 14.

*) ნ. კ. კრუპსკაია. — Из эмиграции в Питер.



ვ. ი. ლენინი ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვაზე (1887 წ. დეკემბერი). მხატვ. ალიაკრინსკის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მე-18 დარბაზში. ფოტო რ. აკოფოვისა.

ლენინის დღეებში

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში

19 იანვარს პლეხანოვის სახელობის კლუბი ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებით გაიჭედა. მუშებმა დაძაბული ყურადღებით რუსულ და ქართულ ენებზე მოისმინეს ამხ. გალუსტოვისა და ამხ. ფარულავას მოხსენებები დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ, მუშებმა თავიანთ სიტყვებში გამოხატეს უდიდესი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინისადმი.

საღამო დამთავრდა კინო-სურათ „დიადი განთიადის" ჩვენებით. დღეს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში ეწყობა მუშათა ექსკურსია, რომელშიც 100-მდე კაცი მიიღებს მონაწილეობას.

ორდენოსან ზ. ნადირაძის რეკორდი

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ცნობილმა ელექტროშემდუღებელმა, ორდენოსანმა სტახანოველმა ზ. ნადირაძემ 19 იანვარს დაამყარა ახალი რეკორდი.

მან 7 საათის განმავლობაში ორთქლმავლის 4 ცილინდრი და ერთი ცილინდრისებური სახურავი გამოუშვა, რომლის გაკეთებას ნორმით 163 საათი და 30 წუთი სჭირდებოდა.

ზ. ნადირაძემ ერთი დღის გეგმა 2.336 პროცენტით შეასრულა და მიიღო 510 მან. 52 კაპეიკი.

ეს ახალი რეკორდი ზ. ნადირაძემ მიუძღვნა კაცობრიობის გენიის დიდი ლენინის გარდაცვალებიდან 16 წლისთავს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოში

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კლუბი შესანიშნავადაა მორთული—აქ მოწყობილია გამოფენა ფოტოდოკუმენტებისა, რომლებიც ნათლად ასახავენ ილიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დღეს აქ ჩატარდება მოხსენება დეპოს მუშებისათვის დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მუშებს უჩვენებენ კინოსურათს „ლენინი ოქტომბერში".

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 19 იანვარს მუზეუმის განყოფილებების 29 აგიტატორთან ჩატარდა კონსულტაციური ხასიათის თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ასახონ აგიტატორებმა თავიანთ საუბრებში დიდი ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მუზეუმის წითელ კუთხეში მოწყობილია გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ილიჩის ლიტერატურული ნაშრომები, ფოტო - დოკუმენტებით ასახულია დიდი ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, პირობები, რომლებშიც უხდებოდა მუშაობა დიდ ლენინს.

22 იანვარს მუზეუმის მუშა-მოსამსახურეთათვის ეწყობა ექსკურსია ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. ექსკურსიაში 50 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში

დღეს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნება მშრომელი კაცობრიობის გენიოსი ბელადის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენა შესდგება 8 განყოფილებისაგან: „სტალინი ლენინისა და ლენინიზმის შესახებ", „16 წელი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინური გზით", „ლენინი ხელოვნებაში და მხატვრულ ლიტერატურაში" და სხვ.

აქვე იქნება გამოფენილი დიდი სტალინის, ნ. კ. კრუპსკაიას და სხვების მოგონებები ვლადიმერ ილიას-ძეზე და ვ. ი. ლენინის ნაწერები, გამოცემული საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ქუთაისი

ქუთაისის რაიონში, ცალკეულ კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეო ბრიგადებში, სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებებში აგიტატორები ატარებენ საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომმა კოლმეურნეობებს მიამაგრა კვალიფიციური მომხსენებლები, რომლებიც ჩაატარებენ მოხსენებას თემაზე „16 წელი ულენინოდ, ლენინის გზით".

რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში მოეწყო ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის და ფოტოდოკუმენტების გამოფენა, მსგავსი გამოფენა მოწყობილია აგრეთვე სოფელ გეგუთის მილიონერ კოლმეურნეობა „წინსვლის" კლუბში.

ლენინის დღეებთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში იგზავნება მოძრავი კინოდანადგარები. უჩვენებენ სურათს, რომელშიც ასახულია ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. პარტკაბინეტში ლენინის დღეებთან დაკავშირებით ტარდება მოხსენებათა ციკლი.

ემ. იაროსლავსკი

ლენინური გზით სტალინის ხელმძღვანელობით

1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე, გორკაში, მოსკოვის მახლობლად, გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინი. იგი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ეს ავადმყოფობა შედეგი იყო მეტისმეტი გონებრივი მუშაობისა, მთელი თავისი ძალების მეტისმეტი დაძაბვისა. მისი სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო, იმიტომ რომ ბოლო კვირეებისა და დღეების განმავლობაში ლენინის ჯანმრთელობას დაეტყო გაუმჯობესება და პარტიას და ყველა მშრომელთ იმედი ჰქონდათ, რომ ვლადიმერ ილიას-ძე კვლავ შესძლებდა შესდგომოდა მუშაობას.

ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ ღამით მიაღწია ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო შტაბამდე, მის ცენტრალურ კომიტეტამდე. ჯერ არასოდეს არ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის ასეთი სხდომა, როგორც 22 იანვრის იმ წინაღამეს, როდესაც ცენტრალური კომიტეტის წევრები, დიდი მწუხარებით მოცულნი, ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა ემუშავნათ ულენინოდ, თუ რა დიდი იყო თვითეულის პასუხისმგებლობა იმ საქმისათვის, რომელიც ყველას დაგვიტოვა ლენინმა, — ბოლშევიკური პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნისათვის, პროლეტარული რევოლუციისათვის. აუტანელი იყო თვით ფიქრი, რომ ველარ გავიგონებდით ლენინის ხმას.

ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო. მშრომელებს უძნელდებოდათ ამის დაჯერება, რომ აღარ არის ლენინი, აღარ არის ადამიანი, რომლის სახელიც მილიონობით მუშების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ასეთი სიყვარულით იყო გარემოცული, ვისი სახელიც თავზარსა სცემდა ბურჟუაზიას. მილიონობით მუშებისა და მშრომელებისათვის ლენინის გარდაცვალება იყო გარდაცვალება საყვარელი ბელადისა, რომელმაც დარაზმა ისინი მეფისა, მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად და მიიყვანა ისინი მუშებისა და გლეხების საუკუნეობრივ მტრებზე გამარჯვებამდე. სხვადასხვა ეროვნების მილიონობით მშრომელთათვის ლენინის გარდაცვალება იყო დაკარგვა ადამიანისა, რომლის სანუკვარი საქმე იყო გაეთავისუფლებინა მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ეროვნების მშრომელნი, გაეხადნა ისინი თავისუფალ ხალხებად, მოესპო ყოველგვარი უთანასწორობა ხალხებს შორის.

ლენინი—შემქმნელი და მშენებელი ბოლშევიკების პარტიისა, კომუნისტების პარტიისა, მუშათა კლასის ერთადერთი პარტიისა, რომელმაც სამი ათეული წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ძლევამოსილად მიიყვანა ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები მარქსიზმ - ლენინიზმის დროშით სოციალიზმამდე, რომელსაც ამ დროშით მიჰყავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელნი კომუნიზმის გამარჯვებებისაკენ.

ლენინი—ამ მილიონიანი მასების ხელმძღვანელი, მსოფლიოს ყველა მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყების ბელადი, სოციალიზმის, კომუნიზმის მასწავლებელი, ყველა მშრომელთა მეგობარი და ამხანაგი.

ლენინი—მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი.

ლენინი—დამაარსებელი კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელმაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტთა პარტიები გააერთიანა ერთ მსოფლიო კომუნისტურ პარტიად, კომუნისტურ ინტერნაციონალად.

მსოფლიო და შინაურ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას საშინლად სძულდა ლენინი. ოქტომბრის რევოლუციამდე იგი მას ათავსებდა საპყრობილეებში, სდევნიდა ემიგრაციაში, ცილს სწამებდა მას; 1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ იგი შეეცადა გადაეცა ლენინი გამხეცებული ოფიცრობისა და კერენსკის ჯალათების სასამართლოსთვის. დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ერთგული ქოფაკები და აგენტები ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ლენინის წინააღმდეგ და 1918 წელში იგი მძიმედ დასჭრეს. თეთრგვარდიელთა აჯანყებების ცეცხლითა და მახვილით, ინტერვენციის რკალით, შიმშილობითა და დაავადებებით ცდილობდა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ჩაეხშო ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია, მოესპო მისი მონაპოვარნი, მიღწეულნი ლენინ-სტალინის პარტიის მიერ მუშებისა და გლეხების მტრებთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

და აი მეორე ათეული წელიწადი მიდის, რაც კომუნისტების-ბოლშევიკების პარტია, ლენინის პარტია, და ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო მუშაობენ ლენინის გარდაცვალების შემდეგ, წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ლენინმა დაგვიტოვა დიდი მსოფლიო-ისტორიული მემკვიდრეობა, თავისი მოძღვრება — მარქსიზმ-ლენინიზმი. მან გვიანდერძა ჩვენ კომუნიზმის საქმე მივიყვანოთ ბოლომდე, მთელ მსოფლიოში მის სრულ გამარჯვებამდე. ყველაზე დიადი, რაც შექმნილი იყო ლენინის მიერ, — ეს არის ბოლშევიკების პარტია. ლენინის ეს პარტია ახლა კიდევ უფრო დიდ ძალად გაიზარდა. მან გამოზარდა ლენინური კომკავშირის 9-მილიონიანი არმია, იგი ზრდის როგორც ბოლშევიკებს ამ საუცხოო ახალგაზრდა ბოლშევიკურ ცვლას.

პარტია და კომკავშირი მრავალმილიონიან რაზმად მიაბიჯებენ როგორც ლენინელთა არმია ლენინის საქმის სრული გამარჯვებისაკენ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. მას მიჰყვებიან ათეულ მილიონობით უპარტიო მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ. და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ არმიის დაძლევა. ამ არმიას მიუძღვის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბრძოლაში გამოწრთობილი ცენტრალური კომიტეტი—საბჭოების ქვეყნის საბრძოლო შტაბი, პროლეტარული რევოლუციის საბრძოლო შტაბი. ცენტრალური კომიტეტის სათავეშია ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბელადი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ჩვენი პარტიის დაარსების პირველივე დღეებიდან — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ აღადგინა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან დანგრეული მეურნეობა. მან განახორციელა ლენინის სიცოცხლეშივე განზრახული და შემუშავებული გეგმა საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციისა. ათეულობით დიდი ელექტროსადგურები: დნეპროჰესი, შატურა, ვოლხოვსტროი, სვირსტროი და სხვ. — მანქანებს, ძრავებს აძლევენ მოძრაობას, ძალას, ხოლო ქალაქებსა და სოფლებს—სინათლესა და სითბოს. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარდა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. თითქმის ღატაკი ქვეყანა, რომელიც ათეული წლებით იყო ჩამორჩენილი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, რევოლუციამ და სოციალისტურმა გარდაქმნამ გახადეს მძლავრ სახელმწიფოდ, სოციალიზმის ქვეყნად, მოწინავე ტექნიკისა და კულტურის ქვეყნად. სსრ კავშირი მრავალმხრივ დაეწია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და წინ უსწრებს მათ.

ჯერ კიდევ ცოტახნის წინათ სსრ კავშირი იყო თითქმის უკანასკნელ ადგილზე ლითონის, თუჯის, ფოლადის გამომუშავების მხრივ, ნახშირის მოპოვების მხრივ, მანქანების წარმოების მხრივ. ახლა კი სსრ კავშირი დგას ერთერთ პირველ ადგილზე თუჯისა და ფოლადის მოპოვებისა და გამოდნობის მხრივ, ნავთის ამოღების მხრივ, ტრაქტორებისა და ორთქლმავლების წარმოების მხრივ. ლენინისა და სტალინის მითითებათა საფუძველზე შემუშავებულ იქნა სოციალისტური გარდაქმნის პირველი ხუთწლედი, რომელმაც მთლიანად უცვალა სახე ჩვენს ქვეყანას.

„ჩვენ არა გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა სერიოზული და თანამედროვე ქიმიური მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა ნამდვილი და სერიოზული მრეწველობა თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არა გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ სულ უკანასკნელ ადგილზე ვიდექით. ახლა ერთერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ.

ნავთის პროდუქტების და ქვანახშირის წარმოების მხრივ ჩვენ უკანასკნელ ადგილზე ვიდექით. ახლა ერთერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ". (სტალინი—„ლენინიზმის საკითხები", გვ. 578, მე-10 გამოც.).

ასე ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე 1933 წ. იანვარში, როდესაც აჯამებდა პირველი ხუთწლედის გამარჯვებებს. განვლილი წლების მანძილზე საბჭოების ქვეყანამ შეაჯამა შედეგები მეორე სტალინური ხუთწლედისა, რომლის მიღწევები კიდევ უფრო გრანდიოზული იყო.

ჩვენი ქვეყანა პირველი ხუთწლედის დასაწყისამდე—1928 წლამდე—უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო (აგრარული) ქვეყანა იყო. სოფლის მეურნეობის პროდუქტები საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქტების ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთელი მეურნეობის ოთხ მეხუთედს შეადგენს სამრეწველო პროდუქცია. სსრ კავშირის მრეწველობა ომამდელ დონესთან შედარებით ათჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

მაგრამ სოფლის მეურნეობაც სულ სხვაგვარი გახდა. გაანადგურეს რა მუშათა კლასისა და მისი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი—კულაკობა, — მილიონობით ღარიბი და საშუალო გლეხები, რომლებსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცედ დადგნენ საკოლმეურნეო შეძლებული ცხოვრების გზაზე.

პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ უდიდესი სახსრები და ძალები გაიღეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ასიათასობით ტრაქტორები, ათიათასობით კომბაინები, ავტომობილები, სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანები შექმნა სოციალისტურმა მრეწველობამ, ოდესღაც ღარიბი მხარეები და ოლქები, რომლებსაც წლიდან წლამდე მოუსავლიანობა ანადგურებდა დაწინაურდნენ პირველ ადგილზე, როგორც სანიმუშოები. 1937 წელს მარცვლეულის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მ. გორკი ლენინის შესახებ

(ნაწყვეტი გორკის წერილიდან „ვ. ი. ლენინი")

„როგორღაც მივედი მასთან (ლენინთან) და ვხედავ: მაგიდაზე დევს „ომისა და ზავის" ტომი.

— დიახ, ტოლსტოი. მომესურვა ნადირობის სცენის წაკითხვა, და აი გამახსენდა, რომ ამხანაგს წერილი უნდა მივწერო. კითხვისათვის კი სრულებით არ მრჩება დრო. მხოლოდ წუხელ წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოის შესახებ.

გაიღიმა, თვალები მოჭუტა, სიამოვნებით გაიჭიმა დივანზე, ხმას დაუწია და სწრაფად განაგრძო.

— რამოდენა კლდეა, ჰა? რა ზუმბერაზი ადამიანია? აი ეს არის, ჩემო კარგო, მხატვარი... და იცით, კიდევ რა არის განსაცვიფრებელი! ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი მუჟიკი არ ყოფილა.

შემდეგ მოჭუტული თვალებით შემომხედა და მკითხა:

— ვინ შეიძლება დავაყენოთ მის გვერდით ევროპაში?

თვითონვე უპასუხა:

— არავინ.

და ხელების ფშვნეტით გაიცინა კმაყოფილმა.

მე ხშირად შემიმჩნევია მასში სიამაყე რუსული ხელოვნებით. ხანდახან ეს თვისება ლენინისათვის უცნაურად უცხო და გულუბრყვილოც მეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ მე ვისწავლე გამეგო ამ სიამაყეში გამოძახილი ღრმად დაფარული სიყვარულისა მუშა ხალხისადმი.

კუნძულ კაპრზე იგი უცქეროდა, თუ რა სიფრთხილით ხსნიდნენ მეთევზეები ბადეს, რომელიც ზვიგენს დაეხია და დაეხლართა, და შენიშნა:

— ჩვენები უფრო მარდად მუშაობენ.

ხოლო როცა მე ეჭვი გამოვთქვი ამის გამო, მან თითქმის წყენით სთქვა:

— ჰმ-ჰმ, ხომ არ ივიწყებთ თქვენ რუსეთს, როცა ამ კაპრზე ცხოვრობთ?

ვ. ა. დესნიცკი-სტროევი მიამბობდა, რომ ერთხელ იგი ლენინთან ერთად შვეციაში მგზავრობდა და ვაგონში ათვალიერებდა გერმანულ მონოგრაფიას დიურერზე.

იმავე კუპეში მყოფმა გერმანელებმა ჰკითხეს, ეს რა წიგნიაო. შემდგომ გამოირკვა, რომ მათ არაფერი იცოდნენ თავიანთ დიდ მხატვარზე. ამან თითქმის აღფრთოვანება გამოიწვია ლენინში და მან ორჯერ სიამაყით უთხრა დესნიცკის:

— ესენი არ იცნობენ თავისიანებს, ჩვენ კი ვიცნობთ.

ერთ საღამოს მოსკოვში, ე. პ. პეშკოვას ბინაზე, ლენინი ისმენდა ბეთჰოვენის სონატას ისაი დობროვეინის შესრულებით და სთქვა:

— „Apassionata"-ზე უკეთესი მე არაფერი ვიცი, მზად ვარ ყოველდღე მოვისმინო იგი. მომაჯადოებელი, არაადამიანური მუსიკაა. მე მუდამ სიამაყით, შეიძლება გულუბრყვილო სიამაყით, ვფიქრობ: აი რა სასწაულების შექმნა შეუძლიათ ადამიანებს!

შემდეგ თვალები მოჭუტა, გაიღიმა და სევდიანად დაუმატა:

— მაგრამ ხშირად მუსიკის მოსმენა არ შემიძლია, ნერვებზე მოქმედებს, მინდა საამო სისულელეები ვილაპარაკო და თავზე ხელი გადავუსვა ადამიანებს, რომლებიც ბინძურ ჯოჯოხეთში ცხოვრობენ და ასეთი სილამაზის შექმნა კი შეუძლიათ. დღეს კი თავზე ხელს ვერავის მოუსვამ—ხელს წაგკვნეტენ, და საჭიროა სცემო თავში, სცემო შეუბრალებლად, თუმცა ჩვენ იდეალებში ადამიანებზე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვართ. ჰმ-ჰმ, ჯოჯოხეთურად ძნელი თანამდებობაა!

სახლი, სადაც ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი

1921 წლის დეკემბერში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ექიმების დაჟინებითი მოთხოვნით, მოსკოვიდან გაემგზავრა და თითქმის 1922 წლის იანვრის დასასრულამდე ცხოვრობდა ქალაქგარეთ, სოფელ კოსტინოს მახლობლად მდებარე პატარა სახლში, რომელიც ტყით იყო გარშემორტყმული.

ახლა ამ ადგილას მუშათა უბანია. სახლში, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა, მთლიანად აღდგენილია მაშინდელი წლების მოწყობილობა; ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის მასალების მიხედვით მოწყობილია გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ექსპონირებულია 150 დოკუმენტი და ფოტო-სურათი.

ამას წინათ ამ სახლში გაიხსნა მუზეუმი. მის დასათვალიერებლად ყოველდღე სულ უფროდაუფრო მეტი ხალხი მოდის. (საკდესი).

კინო ლენინის დღეებში

ლენინის დღეებში თბილისის კინოთეატრები მაყურებელს უჩვენებენ საბჭოთა კინემატოგრაფიის საუკეთესო ფილმებს: „ლენინი 1918 წელს", „ლენინი ოქტომბერში", „თოფიანი კაცი", „დიადი განთიადი" და ქრონიკალურ ფილმებს „ლენინის მუზეუმი მოსკოვში", „ჩვენი მოსკოვი" და სხვ.

ეს ფილმები, გარდა კინოთეატრებისა, ნაჩვენები იქნება აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა კლუბებში და ინსტიტუტებში.

გამოყოფილია სამი მოძრავი ხმოვანი კინო, რომლებიც თბილისისა და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა დაწესებულებებს მოემსახურებიან.

ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფილმები ნაჩვენები იქნება აგრეთვე საქართველოს მსხვილ რაიონულ ცენტრებში.

შენი სამშობლო, ლენინო!

შენი სამშობლო, ლენინო,
წინ მიდის მხნე და მზიანი;
თვალუწვდენ სივრცეს ალალებს
ზალნარი ყვავილიანი.
წინ მიგვიძღვება სტალინი —
მამა, მამაცი, ჭკვიანი;
ხარობს საბჭოთა ქვეყანის
ყოველი ადამიანი.

ხემ ოქროს ხილი მოისხა
გულს გვიტკბობს ფოთოლთ
შრიალი,
ყოველი კუთხით გაისმის
ტკბილი სიმღერის წკრიალი:
„ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი".

ჰყვარდა ხალხი მშრომელი,
ჩაგვრისგან გვიხსენ ბრძოლითა;
ბევრი კარგი რამ შევქმენით
ჩვენი ალალი შრომითა;
მტრები ჯავრისგან სკდებიან,
რომ გვიყურებენ შორითა,
ჩვენს დასუსტებას ფიქრობენ
ზარზაროსული ომითა.

მტრებმა რაც უნდა ისა ჰქნან,
მაინც მივაღწევთ მიზანსა,
საკუთარ მკერდით დავიცავთ
ჩვენი სამშობლოს მიწასა.

ჩვენ წინ მივდივართ, ლენინო,
გოლიათური ბიჯებით
ყველას გავუსწრეთ, რადგანაც
შენი მოძღვრებით ვიზრდებით.
შენი საქმისა ერთგულნი
ვიყავით, ვართ და ვიქნებით.
შენს ორგულს როდი დავინდობთ
თავის ვერაგულ ფიქრებით.

შენ ცოცხალი ხარ ჩვენს გულში
და მუდამ ცოცხლად დარჩები!
შენ მოგვაშორე მშრომელებს
გულის დამწველი დარდები.
შენ დაგვიტოვე, ბელადო,
გულადი ამხანაგები...
შენ გვერდში გედგა სტალინი,
ახლა რომ გვიძღვის ნაქები.

მიხეილ ჭინჭარაული

სოფ. ბარისახო (ხევსურეთი)
დუშეთის რაიონი.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი

1938 წლის 2 ივნისს დაიწყო მუშაობა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალმა. მუზეუმის 23 დარბაზშია სამ ათასამდე დოკუმენტი და მასალა, რომლებიც თვალსაჩინოდ მოგვითხრობენ ბოლშევიკური პარტიის შემქმნელის, პროლეტარული რევოლუციის დიდი გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის და მისი ყველაზე ერთგული და მახლობელი თანამებრძოლის, — ლენინის საქმის დიადი განმგრძობის, ლენინის აღთქმების განმახორციელებლის, — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მუზეუმის დოკუმენტები და მასალები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ ჰქმნიდნენ და განამტკიცებდნენ ლენინი და სტალინი ბოლშევიკების პარტიას, მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში, როგორ აწრთობდნენ ისინი პარტიას სამი რევოლუციის ცეცხლში, უთვალავ ბრძოლებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, როგორ აიარაღებდნენ პროლეტარიატის პარტიას ყველაზე მძლავრი იდეური იარაღით — რევოლუციური თეორიით, იცავდნენ და ანვითარებდნენ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ბოლშევიზმის ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასიათასობით მშრომელნი მუზეუმის დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით სწავლობენ ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ისტორიას, კაცობრიობის დიდი გენიოსების ბიოგრაფიას, მათ დიად მეგობრობას კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ სთქვა:

„ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი ლენინიზმის პროპაგანდის ახალი მძლავრი კერა იქნება, იგი დიდ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტებს და მთელს პარტიულ აქტივს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში".

1939 წელში მუზეუმი გარდაიქმნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" საფუძველზე. შექმნილია მუზეუმის ახალი განყოფილებები: „ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების გამოფენა" ქ. გორში, გამოფენა ქ. თბილისში ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" მიხედვით და ამხანაგ სტალინის თანამებრძოლის ა. გ. წულუკიძის სახლი-მუზეუმი ქ. ქუთაისში; მოწყობილია ექსკურსიები თბილისის ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან არალეგალური ბოლშევიკური მუშაობის პერიოდში.

ფართოდ ცნობილია ავლაბრის ბოლშევიკური სტამბა, რომელიც ლენინის მუზეუმის ფილიალში შედის და რესტავრირებულია ამხანაგ ლ. ბერიას ინიციატივით.

თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ათასობით მშრომელნი მოდიან თბილისში და გორში, რომ გაეცნონ დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილებს, სტალინის შესანიშნავი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს და უძვირფასეს დოკუმენტებს.

მარტო 1939 წლის განმავლობაში ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, მისი სახლები-მუზეუმები და გამოფენები დაათვალიერა 426 ათასზე მეტმა კაცმა. მუზეუმის მუშაობის სისტემაში მტკიცედ შემოღებულია ექსკურსიები ცალკეული თემების მიხედვით „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელთა დასახმარებლად.

მუზეუმის წიგნში ჩაწერილია ათასობით გამოხმაურება, რომლებშიც პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მადლობას უძღვნიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალის შექმნისათვის. აი ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი:

„ხარკოვის ოლქის, სოციალისტური დონბასის და უკრაინის სხვა ოლქების ხუთასმა აგიტატორმა, პროპაგანდისტმა და პარტიულმა მუშაკმა დავათვალიერეთ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. ჩვენ გულწრფელად აღტაცებული ვართ რევოლუციური პროლეტარიატის ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამ მონუმენტალური ძეგლით.

მუზეუმში დიდი სიყვარულით შერჩეულია მასალები და დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ ბოლშევიკური პარტიის ბელადების ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას. ამ მაგალითებზე სწავლობენ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. ჩვენ დიდი ყურადღებით გადავსინჯეთ და ჩავიწერეთ ცალკეული დოკუმენტები, რომლებსაც გამოვიყენებთ ჩვენს პრაქტიკულ პროპაგანდისტულ მუშაობაში"...

ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს ლენინურ-სტალინური გამოფენების შესაქმნელად სოფლად, საქალაქო და რაიონულ პარტკაბინეტებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ. მარტო 1939 წლის განმავლობაში მუზეუმმა 102 ორგანიზაციას გადასცა ლენინურ-სტალინური დოკუმენტების 10.086 ფოტოასლი, მთელ რიგ შემთხვევებში პრაქტიკულად ეხმარებოდა მათ ადგილებზე ასეთი გამოფენების შექმნაში.

მუზეუმის თანამშრომელთა პროპაგანდისტული მუშაობა არ განისაზღვრება მარტო მუზეუმის დარბაზებით. 1939 წლის განმავლობაში მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა ჩაატარეს 139 ლექცია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე პარტიის ისტორიის ცალკეულ თემებზე და ამ საკითხებზე დაწერეს 54 სტატია, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში.

პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად მუზეუმის თანამშრომლები სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ატარებენ: ადგენენ მუზეუმის დოკუმენტების სამეცნიერო აღწერებს, აწარმოებენ საქართველოში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილების გამოვლინებას და შესწავლას. უახლოეს დღეებში მზად იქნება დასაბეჭდად თბილისის იმ ისტორიული ადგილების გზისმაჩვენებელი, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავისათვის მუზეუმის დარბაზები შეივსება ახალი მასალებით. გამოფენილი იქნება ვ. ი. ლენინის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე, რომელიც ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა. მასში ლენინი 1912 წლის აპრილში იძლევა მითითებებს უცხოელი და რუსი ლიკვიდატორების, იუდა ტროცკისა და კავკასიელი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

სამგლოვიარო დარბაზში გამოფენილი იქნება 11 დროშა, რომლებითაც საბჭოთა საქართველოს მშრომელნი გამოვიდნენ 1924 წელს სამგლოვიარო დემონსტრაციაზე თბილისში ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს. 1920 წლის დარბაზში გამოფენილი იქნება ამხანაგ სტალინის სურათის ფოტოასლი წარწერით: „ბაქოს კომიტეტს სახსოვრად ი. სტალინისაგან".

ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალში პროპაგანდისტულ და მეცნიერულ მუშაობაზე გამოიზარდნენ კვალიფიციური კონსულტანტები—ექსკურსიის ხელმძღვანელთა კადრები.

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში მუზეუმის მუშაკთა კოლექტივი ცდილობს მიაღწიოს პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხის ამაღლებას, რომ ღირსეულად შეასრულოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების მასებს შორის, მშრომელთა ფართო მასებს შორის ლენინ-სტალინის იდეების პროპაგანდის საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანა.

ბ. ლიუდვიგოვი

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი (1919 წ. მარტი)

ვ. ი. ლენინი (გორკაში) (1922 წ.)

ლენინის ხსოვნას

დიდი ხანია, რაც ჩაქრნენ
ცეცხლის მფრქვეველი თვალები,
გლოვამ მოიცვა ქვეყანა
გლეხები, პროლეტარები.
მოკვდა ამ ქვეყნის გმირთ-გმირი
უძლევი, შეუდარები.
სისხლით აცრემლდნენ დროშები,
ცას მიაბჯინეს ტარები,
ზღვებმა დაიწყეს ტორტმანი,
შეკრბნენ ღრუბელთა ჯარები,
განრისხდა მთელი ბუნება,
სიტყვა სთქვა შესაზარები:
— ლენინი მოკვდა და დაშრა
მდინარე უკვდავებისა,
დადუმდა ენა მეტყველი
ხალხთა ძმობის და შვებისა.
მოკვდა გამტეხი კერპების,
გამკვლევი სწორი გზებისა.
რა თვალისჩინი დავკარგეთ
ვაჰმე, რა ბედი გველირსა!
მშრომელთა გულის მესიტყვე,
თავს მეხდამცემი მტრებისა —
თვალთ მიგვეფარა ილიჩი
შემქმნელი უკვდავებისა.
მივყევართ აღთქმულ ქვეყნისკენ
შუქს მისი ჩირაღდნებისა.

ის მოკვდა, მაგრამ კვლავ
ცოცხლობს
მისი საქმე და იდეა,
მისი სიტყვა და მიზანი
სიმართლის გზა და ხიდია.
არა არ მოკვდა ლენინი
ხალხის გულს ჩანაძირია,
ბელადობს მისი მოწაფე
სტალინი გმირთა-გმირია,
წინ მიუძღვება ჩაგრულებს
ის არის ჩვენი დიდება
და მისი სხივით ნაშუქი
ცა როდი დაიბინდება.

ალექსანდრე კუდიანაშვილი

სოფ. ვეძათ-ხევა
თიანეთის რაიონი.

დავკარგეთ დიდი ლენინი

დავკარგეთ დიდი ლენინი
ბელადი—მზე საყვარელი,
პროლეტარების წინამძღოლი,
მებრძოლი შეუდარები..
ვინც კაცთა შორის ამ ქვეყნად
უკვდავჰყო თვისი სახელი,
იყო ჩაგრულთა დროშა და
იმედის გამომსახველი.

ლენინ! ბელადო, პირველად
შენ დაამარცხე მტერია;
ძველი სამყარო დაამხე
ახალს დაადგი ჰერია;
თავისუფალი გახადე
მშრომელი—ყრმა და ბერია;
ბურჟუა იმალებოდა,
როგორც ყანაში მწყერია.

შენ გადმოგვძახე, ბელადო,
დიადო ხმამქუხარეთო;
— მშრომელო ხალხო, ნაოფლი
თქვენია, ჩაიბარეთო;
ამ ქვეყნად ძმობა-ერთობა
ყოველგან დაამყარეთო;
ისმინეთ ჩემი ანდერძი
დასტკბით და გაიხარეთო!

ეს სთქვა, გაგვშორდა რჩეული,
გულს დაგვახალა ვარამი.
თვალები ცრემლით მევსება
და ველარ მიჭრის კალამი.
შენ დაგფრიალებს, ბელადო,
სისხლით ნალები ალამი,
აცრემლებული თვალები
ცრემლით და ბოღმით ნალამი.
შენ ბევრის ღირსი იყავი
მე გიძღვენ მცირე სალამი.

გვპატრონობს შენი მოწაფე —
შენგანვე გამოწრთობილი,
ბრძოლების ცეცხლში გავლილი
კობა—სტალინად ხმობილი.

რაც მან შეჰფიცა შენს კუბოს,
გრძნობებით დადაგულითა
მტკიცედ ასრულებს გმირული
ბრძოლით, სულით და გულითა.

ისაკო მირიანაშვილი

სოფ. ანაგა
სიღნაღის რაიონი.

ლენინს

ლენინო, შენმა სიკვდილმა
ძალიან დაგვწვა გულები,
მაინც არ ვუხვევთ შენს ანდერძს
შენგანვე დარაზმულები.

გმირული შრომით გავზარდეთ
ბარაქიანი ხნულები,
ჩვენს წინააღმდეგ მომართულ
ყველა მტრის განადგურებით.

შენებრ გმირი და ურყევი
სტალინი გვიძღვის ბელადად,
შენს წამოწყებულ დიდ საქმეს
განაგრძობს განუხრელადა.

ხალხი ტანჯვიდან დახსნილი
ვქმნით შრომის მრავალ
ტალანტებს,
და შენი სახე უკვდავად
მზესავით გულზედ გვანათებს.

ჩვენ, ხალხს გვახსოვხარ დედ-მამად
და საბჭოეთის მშობლადა,
შენი სახელი მზედ გვიღირს
მარადის დაუჭკნობლადა.

ნიკო ჩანგაშვილი

სოფ. ზემო-ხოდაშენი
თელავის რაიონი.

ყენამ მიაღწია 6 მილიარდ 800 მილიონ ფუთამდე.

მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, ტრანსპორტმა და წითელმა არმიამ მიიღეს ახალი ტექნიკა, ახალი მანქანები და დაზგები, ახალი სამხედრო ტექნიკური აღჭურვილობა. პარტიამ ათიათასობით და ასიათასობით გამოზარდა ნასწავლი კადრები, რომლებიც დაეუფლნენ მოწინავე ტექნიკას. მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მძლავრმა სტახანოვურმა მოძრაობამ გვიჩვენა მსოფლიოში უმაგალითო ნიმუშები შრომის მაღალი ნაყოფიერებისა, მაღალი ნორმებისა.

სტალინური ხუთწლედების განხორციელებამ საბჭოთა ქვეყანა ძლიერ, მძლავრ და უძლეველ ქვეყნად გადააქცია.

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა იმ გმირული ბრძოლის დიდი შედეგები, რომელსაც ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა ბოლშევიკური პარტია სოციალიზმისათვის. სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილია გამარჯვებული სოციალიზმის მტკიცე მონაპოვარნი: მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოპოებულია შრომის, დასვენების, განათლების უფლება, უზრუნველყოფილია მოხუცებულობა, გაშლილია სოციალისტური დემოკრატია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა მოგვცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის შესანიშნავი გამარჯვება.

რით იყო უზრუნველყოფილი საბჭოთა ქვეყნის ეს მძლავრი ზრდა, ბოლშევიკური პარტიის ეს უდიდესი გამარჯვება? ლენინური პარტიის სწორი პოლიტიკით, მისი უდიდესი ყურადღებით მშრომელთა ინტერესებისადმი, მათ საჭიროებებისადმი, იმით, რომ ლენინის პარტია განუხრელად ასრულებდა თავისი მასწავლებლისა და ბელადის მცნებებს, იმით, რომ მის საჭესთან დგას ნაცადი ბოლშევიკი, რომელსაც თავისში შეუერთებია ბოლშევიკური ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებანი, — მის საჭესთან დგას ამხანაგი სტალინი.

ამ წლების განმავლობაში საბჭოების ქვეყანას არაერთხელ ემუქრებოდა საფრთხე, რომ დღეს თუ არა ხვალ დაიწყებდნენ მის წინააღმდეგ ომს კაპიტალისტური ქვეყნები. მას ემუქრებოდნენ და დღესაც ემუქრებიან სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტები. ისინი მიმართავდნენ და მიმართავენ ყოველგვარ ოინებს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ: აწყობდნენ მავნებლობას, გზავნიდნენ და გზავნიან ჩვენს ზურგში პროვოკატორებსა და ჯაშუშებს, ომის გამჩაღებლებს, ამზადებდნენ და ამზადებენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

ტროცკისტები, ზინოვიეველები და კაპიტალიზმის მემარჯვენე რესტავრატორები საერთაშორისო კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმი გახდნენ. იყვნენ რა ლენინიზმის მტრები, კომუნიზმის მტრები, ისინი ვერაგულად, თვალთმაქცურად ინარჩუნებდნენ თავს პარტიის რიგებში იმისათვის, რომ შიგნიდან აეფეთქებინათ იგი. ლენინის საქმის ეს გამცემლები და მოღალატეები გახდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტები, უცხოეთის დაზვერვათა „განძი". ლენინ-სტალინის პარტიამ ამხილა ისინი ხალხის წინაშე, მოსპო, ძირფესვიანად ამოაგდო მათი გველური ბუდეები; ამაშია პირადად ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება.

ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ატარებენ მშვიდობიან პოლიტიკას, იბრძვიან ომის საშიშროების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა შექმნა ქვეყნის მძლავრი თავდაცვა, შექმნა ძალა, რომლისაც ეშინიათ და რომელსაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ჩვენმა მტრებმა. წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი, ჩვენი წითელი ავიაცია ყველა საზღვარზე, როგორც მრისხანე გუშაგი, იცავენ საბჭოების ქვეყანას, მშვიდობიანი შრომისა და კომუნიზმის მშენებლობის შესაძლებლობას. აძლევენ სოციალისტური სამშობლოს ათეულ მილიონობით პატრიოტებს, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან მშვიდობიანი შრომა საბრძოლო იარაღზე შესცვალონ. ეს არმია დაეხმარა 13 მილიონ უკრაინელსა და ბელორუსს პოლონელი პანების ბატონობის უღლისაგან განთავისუფლებაში. ეს არმია ეხმარება ფინეთის მშრომელთ განთავისუფლდნენ საერთაშორისო ბანდიტების იმპერიალიზმის სვავების ხროვისაგან, რომელიც ჯალათ მანერჰაიმის მეთაურობით ამზადებდა თავდასხმას სსრ კავშირზე. მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის თვითეული მოქალაქე ყოველ წუთს მზად არის შესწიროს თავისი სიცოცხლე ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, მზად არის ჩადგეს წითელი არმიის რიგებში.

უდიდეს ძალად გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. იგი დაამუშავეს ლენინმა და სტალინმა. ეს არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ, განვამტკიცოთ და გამოვაწრთოთ მუშათა კლასის მებრძოლი პარტია, შევაიარაღოთ იგი რევოლუციური თეორიით; ეს არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევქმნათ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, როგორ დავიცვათ ეს კავშირი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში; ეს არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ დავამხოთ ბურჟუაზია, როგორ მოვაწყოთ საბჭოთა სახელმწიფო, როგორ ვაშენოთ სოციალიზმი. ლენინ-სტალინის ეს მოძღვრება გამართლებული იყო ლენინის სიცოცხლეში, იგი გამართლებულია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ორი ათეული წლის მანძილზე. იგი გამართლებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობით, რომლებიც ლენინ-სტალინის დროშით მიდიან. ეს დროშა გახდა მთელი მსოფლიოს მუშებისა და მშრომელების დროშად, რომლებიც ლენინის გზით მიდიან.

ლენინ-სტალინის მოძღვრება დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი საქმე მივიყვანოთ ბოლომდე, კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. ლენინ-სტალინის მოძღვრება დაეხმარება მთელი მსოფლიოს ხალხებს მოიშორონ მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება. ლენინ-სტალინის მოძღვრება დაგვეხმარება იმაში, რომ მთელ მსოფლიოში შევქმნათ მშრომელთა ერთიანი კავშირი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირი.

და ჩვენ ყველას: ლენინის ახალგაზრდა და მოხუც მოწაფეებს — მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, ყველა ხალხის, ყველა ერის მშრომელებს—გვსურს ეს და მივაღწევთ ამას, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. და ეს მოხდება მით უფრო მალე, მით უფრო წარმატებით, რაც უკეთ ეცოდინება ყველას ლენინის მოძღვრება, მისი ცხოვრება, რომ თვითეულმა თავისი თავი აღზარდოს ისეთად, როგორიც იყო ლენინი.

ლენინი გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს თავის მიმართვაში პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი ბოლშევიკების ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწერდა, რომ ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის თვითეული წევრის გულში:

„ლენინი ცოცხლობს თვითეული პატიოსანი მუშის გულში".

„ლენინი ცოცხლობს თვითეული ღარიბი გლეხის გულში".

„ლენინი ცოცხლობს კოლონიური მონების მილიონებს შორის".

და ყველა ამ მილიონობით ადამიანებს: მოზრდილებს, მოზარდებს, მოსწავლე-პიონერებს—სურთ, იცოდნენ და უნდა იცოდნენ, როგორ იზრდებოდა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ—ლენინი, როგორ სწავლობდა იგი, როგორ გადაიქცა იგი მუშათა საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის რევოლუციურ მებრძოლად, როგორ აწარმოებდა იგი ამ ბრძოლას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

* * *

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არსებობენ კაპიტალიზმის ნაშთები — ნაციონალიზმი, კლასობრივი საზოგადოების რელიგიური და სხვა მანკიერებანი. ჩვენ ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ და ვიბრძოლებთ ბოლომდე, მათ სრულ აღმოფხვრამდე. ჩვენ არ ვივიწყებთ იმასაც, რომ დედამიწის ზურგის 5/6-ზე არსებობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომ არსებობენ უსამართლო, იმპერიალისტური, მტაცებლური ომის კერები, რომ არსებობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ლესავენ იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ შეუბრალებელი და გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყველას, ვინც შეეცდება ლენინის დიადი მემკვიდრეობის, საბჭოების ქვეყნის ხელყოფა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მანამდე, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, უნდა განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, განვამტკიცოთ წითელი არმია, საბჭოთა დაზვერვა, ვიყოლიოთ მთელი ჩვენი ხალხი მობილიზაციურ მზადყოფნაში.

ჩვენი მაგალითის მიხედვით ასეულ მილიონობით მუშები და გლეხები მთელ მსოფლიოში მჭიდროდ დაირაზმებიან საბრძოლველად. და დადგება დრო, როდესაც მილიონობით ადამიანები მთელ მსოფლიოში აღმართავენ იარაღს თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ისინი იტყვიან: ძირს იმპერიალისტები, გაუმარჯოს კომუნიზმს, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, გაუმარჯოს ლენინ-სტალინის საქმეს!

და მაშინ ეს იქნება ნამდვილად უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ. ჩვენს გამოცდილებაზე დამყარებით, ჩვენი წარმატებების მიხედვით მუშები და მშრომელები მთელ მსოფლიოში შექმნიან საბჭოების ხელისუფლებას. მაშინ მთელ მსოფლიოში შეიქმნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირი. აი როდის დადგება კომუნიზმის ნამდვილი აყვავება მთელ მსოფლიოში, კაცობრიობის ყველა ძალთა ნამდვილი აყვავება!

დიადი, რევოლუციური საქმე მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა 1917 წლის ოქტომბერში. პროლეტარული რევოლუცია 1917 წლის ოქტომბერში კაცობრიობის განთიადი იყო. დგება ადამიანთა ცხოვრების ახალი საუკუნე—სოციალიზმის საუკუნე.

ამ ახალი საუკუნისაკენ გზა გაკაფულია საბჭოების ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელების ბრძოლით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასისა და მთელი კაცობრიობის ჩაგრულთა დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინ—ულიანოვის ხელმძღვანელობით.

სტალინი, რომელიც ლენინთან ერთად წარსული საუკუნის დამლევიდან აშენებდა ბოლშევიკურ პარტიას, რომელმაც ლენინთან ხელიხელჩაკიდებულმა განვლო მთელი გზა, ამდიდრებს და ანვითარებს ლენინის დიად მოძღვრებას. სტალინი ასწავლის ჩვენს პარტიას, ყველა ბოლშევიკს, თუ როგორ დავამუშაოთ ლენინის მოძღვრება და, ვიხელმძღვანელებთ რა მით, სწორად გადავჭრათ სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა საკითხი.

ბოლშევიკური პარტიის დიადი გამოცდილების მიხედვით, ლენინის ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითის მიხედვით, დაეუფლებიან რა კაცობრიობის ყველაზე მოწინავე მეცნიერებას—მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიას, — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების კადრები ისწავლიან, თუ ბოლომდე როგორ უნდა სპობდნენ კაცობრიობის მტრებს და ძლევამოსილად აშენებდნენ კომუნისტურ საზოგადოებას.

ლენინური გზით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოების ქვეყანა მიდის კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. იმპერიალისტური ომის ტანჯვის გავლით, უდიდეს წამებათა გავლით, მთელი მშრომელი კაცობრიობა მიდის და მივა მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციასთან.

◆

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ბერლინი, 19 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „დასავლეთში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. 18 იანვარს, საღამოს, მტრის ცალკეული თვითმფრინავები დაფრინავდნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაზე. ამ გაფრენების დროს ინგლისის თვითმფრინავები ხშირად გადადიოდნენ ჰოლანდიის ტერიტორიაზე".

პარიზი, 19 იანვარი (საკდესი). საომარ მოქმედებათა ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა პარიზში იუწყებიან, რომ „ვოგეზების რაიონში საფრანგეთის ერთერთმა მოწინავე პოსტმა მოიგერია მტრის რაზმის იერიში და ხელთ იგდო რამდენიმე ტყვე".

დღევანდელი დილის კომუნიკეში იუწყებიან, რომ ფრონტზე „არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა".

ომი ზღვაში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 17 იანვარს ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა გემი „კერნროსი" 5.494 ტონა წყალწყვისა. გემის ეკიპაჟი 48 კაცის შემადგენლობით ინგლისის სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროს ერთერთ პუნქტში გადავიდა.

ნორვეგიის გემი „ენიდი" 1.140 ტონა წყალწყვისა ტორპედირებულია წყალქვეშა ნავის მიერ შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ეკიპაჟი გადარჩენილია.

ინგლისის მთავრობის ახალი ღონისძიებანი

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისის პრესა იუწყება, რომ სამხედრო კაბინეტმა დასახა ამ წლის გაზაფხულისათვის ინგლისის სამხედრო მოქმედებათა მნიშვნელოვანი გააქტივების გეგმა. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მნიშვნელოვნად გააფართოოს გემთმშენებლობა და სამხედრო მასალების დამზადება.

როგორც გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიარაღებულ იქნება ინგლისის მთელი სავაჭრო ფლოტი.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" სიტყვით, განზრახულია მთელი რიგი საქონლის იმპორტის ახალი შეზღუდვა. ალბათ, შემოღებულ იქნება მოხმარების კიდევ მთელი რიგი საგნების საბარათო სისტემა.

უნდობლობას უცხადებენ ლეიბორისტული პარტიისა და ტრედ-უნიონების ლიდერებს

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ სარეისა და უიმბლედონის (სამხრეთი ლონდონი) პროფკავშირთა საბჭოების ფედერაციის კონფერენციამ ხმის უმრავლესობით უარჰყო რეზოლუცია, რომლითაც ნდობა უნდა გამოეცხადებინათ ლეიბორისტული პარტიისა და პროფკავშირთა ხელმძღვანელობის ლიდერებისათვის.

შეტანილი იყო რეზოლუცია, რომელშიც კონფერენცია მოუწოდებს საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტისაკენ და მოითხოვდა, რომ ტრედ-უნიონების გენერალურმა საბჭომ და ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა შესწყვიტონ თანამშრომლობა მთავრობასთან და მთელი თავისი მოღვაწეობა მიმართონ მუშათა შრომის პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისაკენ.

ინგლისის მუშები პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის პროფკავშირთა დევნის წინააღმდეგ

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისის მთელმა რიგმა მუშათა ორგანიზაციებმა საფრანგეთის საელჩოს ლონდონში საპროტესტო რეზოლუცია გაუგზავნეს საფრანგეთში იმ პროფკავშირების აკრძალვის წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებიან ჟუოსა და მისი კომპანიის გამთიშავ მოღვაწეობას. ამ ორგანიზაციათა შორის ითვლება ლიტოგრაფებისა და აქაქთა კავშირის ლონდონის განყოფილება, ელექტრონის მუშაკთა კავშირის განყოფილება საუთენდში (ესექსის საგრაფო), სარეის საგრაფოს მშენებელ მუშების კავშირის განყოფილება, სამხრეთ უელსის მაღაროელთა ფედერაციის ერთერთი განყოფილება და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები.

სტიქიური უბედურებანი თურქეთში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, რომ 17 იანვარს ღამით ნიგდის ვილაიეტში ორი ძლიერი მიწისძვრა ბიძგი მოხდა. მიწისძვრის გამო მოიკლა 50 და დაიჭრა 160 კაცი, დანგრეულია 400-ზე მეტი სახლი.

17 და 18 იანვრის განმავლობაში ჩრდილო ანატოლიის ტერიტორიაზე 8 ბიძგი მოხდა.

მდინარე კარაჯაბეის (ბურსის ვილაიეტი) ველზე წყალმა წალეკა 15 სოფელი.

კანადის ჯარში გაწვეულთა ოჯახის წევრები გაჭირვებას განიცდიან

ნიუ-იორკი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესი ოტავიდან იუწყება, კონსერვატორთა ლიდერმა მანიონმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს მიჰმართოს მთავრობას მოთხოვნით დახმარება გაუწიოს ჯარში გაწვეულთა დედებს, რომელნიც გაჭირვებას განიცდიან, რადგან არავითარ დახმარებას არ იღებენ.

სამხედრო-საზღვაო მშენებლობის გეგმის შეცვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, წარმომადგენელთა პალატის საზღვაო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ვინსონმა განაცხადა, რომ მან ცვლილებანი შეიტანა სამხედრო-საზღვაო მშენებლობის მის მიერ წარდგენილ კანონპროექტში. თავდაპირველად ვინსონს შეჰქონდა წინადადება აგებულიყო 77 სამხედრო გემი (მათ შორის 34 ნაღმოსანი) 400 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა, 1.300 მილიონი დოლარის ღირებულებით. ამჟამად ვინსონს შეაქვს წინადადება აგებულ იქნას 41 სამხედრო გემი 218 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა, აქედან ავიამზიდები — 75 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა, კრეისერები — 110 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა და წყალქვეშა ნავები — 33 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. ამ პროგრამის შესრულება უნდა დაჯდეს 800 მილიონი დოლარი.

კონგრესის ზოგიერთმა წევრმა სასტიკად გააკრიტიკა ვინსონის პირვანდელი კანონპროექტი იმის გამო, რომ იგი ძალიან დიდ სამხედრო-საზღვაო მშენებლობას ითვალისწინებს, იმ დროს როცა საზღვაო სამინისტროს ჯერაც არ აუგია წინანდელი გეგმებით გათვალისწინებული მთელი რიგი სამხედრო გემები.

ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის ინგლისში

ბერლინი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისური გაზეთის „დეილი მეილის" გამოანგარიშებით, 42 პროფკავშირში შემავალი 1.850 ათასი ინგლისელი მუშა და მოსამსახურე ამჟამად მოითხოვს ხელფასის მომატებას. ერთნახევარი მილიონი კაცი, ალბათ, კიდევ შეუერთდება მათ ამ კვირის განმავლობაში. ომის დაწყებიდან, ხაზგასმით აღნიშნავს „დეილი მეილი", სურსათ-სანოვაგისა და თამბაქოს ფასი საშუალოდ 33 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხელფასის დონე მკვეთრად ჩამორჩება ფასების მოძრაობას.

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ლონდონის რაიონის 4 დიდი საავიაციო ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს 20 იანვარს ნახევარი დღით დემონსტრატიული გაფიცვა ჩაატარონ პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ მეწარმენი უარს ამბობენ გაადიდონ ხელფასი სიძვირის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ინგლისის საელჩოს განცხადება

ვაშინგტონი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისის საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაცხადა, რომ ეკონომიური ომის სამინისტრო მზად არის განიხილოს ამერიკის განცხადებანი, რომლებიც მოითხოვენ, რათა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დაშვებულ იქნას გამონაკლისი იმ ბრძანებულების განხორციელების დროს, რომელიც გერმანიის ექსპორტთან ბრძოლას შეეხება. განცხადებანი შეტანილ უნდა იქნან არაუგვიანეს 1 თებერვლისა.

ჩინური გაზეთი სედოველთა გმირობის შესახებ

ჩუნცინი, 19 იანვარი (საკდესი). სტატიაში „საბჭოთა მეცნიერების ახალი გამარჯვება" გაზეთი „სინხუაჟიბაო" ასწერს ყინულმჭრელ „სედოვის" ეკიპაჟის გმირულ მუშაობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მეცნიერების ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში ჩანს. „სსრ კავშირში, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — მეცნიერება ხალხს ეკუთვნის და მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება. ყინულების ტყვეობიდან ყინულმჭრელ „სედოვის" განთავისუფლება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რა დიდად აფასებენ ადამიანს საბჭოთა კავშირში".

ნაღმის აფეთქება ჰოლანდიის სანაპიროსთან

ბერლინი, 19 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ამსტერდამიდან იუწყება, რომ გუშინ ჰოლანდიის სამხედრო ნავსადგურის ჰელდერის მახლობლად ნაღმი აფეთქდა. აფეთქებამ გამოიწვია ზარალი, რაც დაახლოებით 7000 გულდენად არის შეფასებული. დაზიანებულია მთელი რიგი შენობა. ნაღმების აფეთქებას ადგილი ჰქონდა ამ რაიონში ჯერ კიდევ დეკემბერში. ჰფიქრობენ, რომ ამ ჯერადაც ლაპარაკია ინგლისის ნაღმების შესახებ.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდა სინგაპურში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). საგაფიცვო მოძრაობის აზვირთებამ სინგაპურში სერიოზულად შეაშფოთა ინგლისის მთავრობა. „გაფიცვების ხელმძღვანელები, — სწერს გაზეთი „ტაიმსი", — მოუწოდებენ მუშებს არ დაბრუნდნენ სამუშაოზე მანამ, სანამ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ არ იქნება". იმ არეულობის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა შაქრის ლერწმის გადამმუშავებელ ფაბრიკაში, დაპატიმრებულია 4 ჩინელი. გაფიცულებმა ბოთლები დაუშინეს პოლიციას.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ახალი გაფიცვების შესახებ სინგაპურში. 13 იანვარს გაფიცვა გამოაცხადა ნავსადგურის სარემონტო სახელოსნოთა ათასმა მუშამ. გაფიცულია აგრეთვე სინგაპურის საავადმყოფოს რამდენიმე ასეული ჩინელი მოსამსახურე.

მედგარი ბრძოლის შედეგად კალის მაღაროებისა და კაუჩუკის პლანტაციების მუშებმა უკვე მიაღწიეს ხელფასის მომატებას.

იაპონიამ უარჰყო ამერიკის პრეტენზიები

ნიუ-იორკი, 19 იანვარი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, იაპონიამ უარჰყო ამერიკის მრავალი პრეტენზია იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც ამერიკელებს მიადგათ ჩინეთში. იაპონია ამტკიცებს, რომ, თანახმად საერთაშორისო უფლებისა, იგი პასუხისმგებელი არ არის იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულია საომარი მოქმედების დროს. ამერიკის ზოგიერთი ოფიციალური პირის აზრით, იაპონიამ უნდა აანაზღაუროს ზარალი, რამდენადაც მას ომი არ გამოუცხადებია ჩინეთისათვის. მაგრამ, იურისტების აზრით, იაპონია არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაშიც კი, მას რომ ომი გამოეცხადებინა. იაპონელები აღნიშნავენ, რომ 1854 წელს ამერიკის სამხედრო გემმა დაანგრია ქალაქი გრეიტაუნი (ნიკარაგუაში) და დიდი ზარალი მიაყენა საფრანგეთის საკუთრებას, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს ზარალის ანაზღაურებაზე. ასეთივე პოზიცია ეკავათ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნავსადგურ ვერა კრუსის (მექსიკა) ხელში ჩაგდების შემდეგ 1914 წელს.

უკმაყოფილება თეთრფინელთა არმიაში

სტოკჰოლმი, 19 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ნერშენს ფლაგმანი" აქვეყნებს რედაქციის თანამშრომლის საუბარს მანერჰაიმის ჯარისკაცებთან. თეთრფინელთა არმიის განწყობილებათა შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ერთერთი ჯარისკაცის შემდეგი ნაამბობის მიხედვით: „მართალი არ არის მტკიცება, — განუცხადა ჯარისკაცმა გაზეთის თანამშრომელს, — რომ ჩვენს შორის აღფრთოვანება სუფევდეს. ჩვენ ყველანი ძალით მოგვირეკეს აქ და გვაიძულებენ ვიომოთ წითელი არმიის წინააღმდეგ. შეიძლებოდა ბევრი რამ გვეამბნა ჩვენი ცხოვრების შესახებ ფრონტზე, მაგრამ დაწვრილებითი აღწერა სახელების აღნიშვნით ჯარისკაცების მასობრივ დახვრეტას გამოიწვევდა".

„ჩვენი ნაწილი, — განაგრძობდა ჯარისკაცი, — აგერ უკვე ორი კვირაა, დაუსვენებლივ იმყოფება მოწინავე პოზიციებზე. კვება საძაგელია, საველე სამზარეულოები შორს არის ფრონტიდან".

შემდეგ ჯარისკაცმა უამბო კორესპონდენტს მასობრივ უკმაყოფილების შესახებ, რაც გამეფებულია ჯარისკაცთა შორის და მღელვარების შემთხვევების შესახებ ჯარის მრავალ ნაწილში.

ემელიან პუგაჩოვი

(სიკვდილით დასჯის 165 წლისთავის გამო)



ემელიან პუგაჩოვი
ტოპფერის გრავიურა.

ემელიან ივანეს-ძე პუგაჩოვი მე-18 საუკუნის რუსეთის გლეხთა აჯანყების შესანიშნავი და ნიჭიერი ხელმძღვანელი იყო. ის იყო მტკიცე ნებისყოფის, გამჭრიახი, მხნე და შეუპოვარი ადამიანი. როგორც კი ჩაუდგა სათავეში გლეხთა აჯანყებას, რომელიც ცნობილია პუგაჩოვის აჯანყების სახელით, მან ურალიდან დაწყებული პოვოლჟიეს დიდი რაიონი და ციმბირის ნაწილი აჯანყების ცეცხლში გახვია და ორი წლის განმავლობაში (1773 — 1775 წ. წ.) თავზარს სცემდა მეფის რუსეთს.

პუგაჩოვი, დონის ლატაკი ყაზახი, დაიბადა 1742 წელს ზიმოვეის სტანიცაში. 17 წლისას ცოლი შერთეს და იმავე წელს ჯარში გაიწვიეს. მონაწილეობას იღებდა პრუსიასთან, პოლონეთთან და ბოლოს თურქეთთან ომში. აქედან გაექცა მეფის სამსახურს, მოიარა ჩრდილოკავკასია, პოლონეთი, და ბოლოს მოვიდა მდ. ურალზე (მაშინ იაიკი ეწოდებოდა). იაიკელ ყაზახებში ამ დროს დიდი მღელვარება იყო. გაყვლეფილნი და გაძვალტყავებულნი თავიანთი მექრთამე—ატამანების მიერ, ისინი მოითხოვდნენ სამართალს, მაგრამ მეფის რუსეთში სამართალი ყოველთვის ხომ მჩაგვრელის მხარეზე იყო და მოუსვენარ ყაზახებს ცეცხლითა და მახვილით ამშვიდებდნენ.

როდესაც პუგაჩოვი გაჩნდა ურალზე, დამსჯელი რაზმების მიერ იაიკელი ყაზახების გადაბუგულ სტანიცებში ჯერ კიდევ ბოლავდა კვამლი. პუგაჩოვმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას, თავი გამოაცხადა იმპერატორ პეტრე III-ედ, რომელიც 1762 წ. ეკატერინე II გამეფების დროს, მოკლული, თითქოს კი არ მომკვდარა, არამედ „სასწაულით გადარჩა" და მოვიდა ახლა ტანჯული ყაზახების დასაცავად.

1773 წ. 18 სექტემბერს 200-300 ყაზახი პუგაჩოვის მეთაურობით გამოჩნდა იაიკი გოროდოკთან. 3 ოქტომბერს პუგაჩოვი მეთაურობდა უკვე მთელ არმიას 2.500 კაცისა და 20 ქვემეხის შემადგენლობით. ამ ძალით ის მიადგა ორენბურგს. პუგაჩოვმა გადასწყვიტა ამ ციხესიმაგრის აღება და შემდეგ მოსკოვზე წასვლა.

აჯანყების პირველ ეტაპზევე პუგაჩოვს მიემხრნენ ურალის მუშები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აჯანყებაში: ურალის ქარხნებში მზადდებოდა ქვემეხები პუგაჩოვის ჯარისათვის. იზრდებოდა რიცხობრივად აჯანყების მეორე მნიშვნელოვანი ძალა — ცარიზმის მიერ ჩაგრული ერების სახით. მაგალითად, ბაშკირი რევოლუციონერისა და პოეტის **სალავატ იულაევის** მეთაურობით პუგაჩოვის არმიას შეემატა შესანიშნავი ცხენოსანი ჯარი.

პუგაჩოვის არმიას სათავეში ედგა ხუთი კაცისაგან შემდგარი შტაბი, რომელსაც „სახელმწიფო სამხედრო კოლეგია" ეწოდებოდა. ამ შტაბში მთავარი თვით პუგაჩოვი იყო. შტაბი სცემდა „მანიფესტებს" და მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაკენ. არც ივანე ბოლოტნიკოვს, არც სტეფანე რაზინს, არც კონდრატი ბულავინს, გლეხთა აჯანყების არცერთ შესანიშნავ მეთაურს არ ულაპარაკნია გლეხებთან მათს საჭირბოროტო საკითხებზე ასეთი მარტივი და ამავე დროს ასეთი ძლიერებითა და ცეცხლით აღსავსე სიტყვებით, როგორითაც ელაპარაკებოდა პუგაჩოვი გლეხობას თავისი მანიფესტებით. პუგაჩოვს უნდოდა რუსეთში შეექმნა ყაზახთა სამეფო, ყაზახები კი გადაექცია პირველ ადამიანებად. იგი ჰპირდებოდა ყმა გლეხებს თავისუფლებას, მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევასა და მათთვის გადაცემას.

პუგაჩოვის ძლევამოსილმა ჯარმა 1774 წ. 12 ივლისს აიღო ყაზანი. ცენტრალური გუბერნიებისა და თვით მოსკოვის გუბერნიის გლეხობა უკვე ღელავდა და დღე-დღეზე მოელოდა პუგაჩოვს, თავის მხსნელს. მაგრამ მთავრობის ძლიერმა ჯარებმა შეაჩერეს პუგაჩოვის წინსვლა და მალე რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხეს იგი. პუგაჩოვი იარაღს მაინც არ ჰყრის და კვლავ ჰქმნის ახალ ჯარებს, მაგრამ მისი ჯარები ცუდად შეიარაღებული იყვნენ, მათში არ იყო საკმაო წესრიგი, ეს ჯარი თოვლის გუნდივით ხან იზრდებოდა, ხან დნებოდა, მისი შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. როდესაც პუგაჩოვი მიადგებოდა რომელიმე მაზრას, გარშემო სოფლებიდან გლეხები მორბოდნენ მის ჯარში, მაგრამ გასცილდებოდა თუ არა მათს მაზრას, გლეხები შინ ბრუნდებოდნენ,—იქით რა გვესაქმებაო.

ამ ხანებში რუსეთ - თურქეთის ომიც დასრულდა და დიდძალი ჯარი იქნა გადასროლილი პუგაჩოვთან საბრძოლველად. თვით რევოლუციურ ჯარში თავი იჩინა ღალატმა. 1774 წ. 24 აგვისტოს ცარიცინის მახლობლად, სარეპტასთან სასტიკ და შეუპოვარ ბრძოლაში პუგაჩოვის ჯარი საბოლოოდ დამარცხდა. თვითონ პუგაჩოვი გაიქცა ველებში, მაგრამ ყაზახთა მოღალატე ჯგუფმა გადასცა იგი მეფის მთავრობას. 1774 წ. 4 ნოემბერს პუგაჩოვი ჩაიყვანეს მოსკოვს რკინის გალიით. იგი გადასცეს განსაკუთრებულ „ხელოსანს" საწამებლად, მაგრამ ვერ გასტეხა პუგაჩოვი საშინელმა და ხანგრძლივმა წამებამ. 1775 წ. 21 იანვარს პუგაჩოვი სიკვდილით დასაჯეს ბოლოტნაიას მოედანზე.

პუგაჩოვის აჯანყება, როგორც ფეოდალურ - ბატონყმური ეპოქის გლეხთა ყოველი აჯანყება განწირული იყო პროლეტარული ხელმძღვანელობის უქონლობის გამო. „გლეხთა აჯანყებებს შეიძლება წარმატება მოჰყვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეხამებულია მუშათა აჯანყებებთან, და თუ მუშები ხელმძღვანელობენ გლეხთა აჯანყებებს" (სტალინი). ამხანაგ სტალინის სიტყვებით, პუგაჩოვის, რაზინის, ბოლოტნიკოვის და სხვ. გამოსვლებში ჩვენ ვხედავთ: „... ჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების ასახვას". პუგაჩოვის აჯანყება, მიუხედავად მისი დამარცხებისა, დარჩა მებატონე-მემამულეთა ხსოვნაში, როგორც უდიდესი საშიშროების სიმბოლო. ეკატერინე II-ის მთელი რიგი ღონისძიებანი და „რეფორმები" გამოწვეული იყო პუგაჩოვის აჯანყებით. ამ „რეფორმებით" მეფის მთავრობას უნდოდა ამგვარი აჯანყების განმეორებისაგან თავის დაზღვევა.

შ. ზვინჩიძე

„აჭარული კილოს თავისებურებანი"

25 იანვარს, საღ. 7 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტ. № 86) ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ჯემალ იზეთის-ძე ნოღაიდელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „აჭარული კილოს თავისებურებანი".

ოფიციალური ოპონენტებია: პროფ. ვ. თოფურია და დოც. შ. ძიძიგური.

„სვანური პოეზია"

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა გამოსცა სვანური სიმღერების კრებული — „სვანური პოეზია", შეკრებილი პროფ. აკ. შანიძის, პროფ. ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ. კრებულში თავმოყრილია ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშები და სვანეთში გავრცელებული სიმღერები, რომლებიც სხვადასხვა მოღვაწეთა მიერ ყოფილა სხვადასხვა დროს შეკრებილი და ნაწილობრივ გამოქვეყნებულიც. სიმღერების დიდი ნაწილი კი პირველად ქვეყნდება და შეიცავს ენათმეცნიერების ძვირფას მასალას, როგორც ქართველურ ენათა შესასწავლად, ისე სვანეთის ეთნოგრაფიისათვის. კრებულში მოთავსებულია 150 სიმღერა, რომლებსაც დართული აქვს ქართული სიტყვა-სიტყვით თარგმანი.

წიგნი შეიცავს რამდენიმე ციკლს, რომელთა შორის აღსანიშნავია საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივი, თანამედროვე, ნარევი და ქართული სიმღერები.

კრებულს წარმძღვარებული აქვს პროფ. ა. შანიძის და პროფ. ვ. თოფურიას წინასიტყვაობა და დართული აქვს შენიშვნები.

წიგნი 26 ნაბეჭდ ფურცელს შეიცავს, ლამაზად არის გამოცემული და ღირს 14 მანეთი.

ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.) ზესტაფონში შეიქმნა და მუშაობს სახელმწიფო თეატრი. თეატრმა სეზონი გახსნა ვ. გაბესკირიას პიესით „მათი ამბავი". პიესის დადგმაზე მუშაობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ანთაძე. თეატრმა აგრეთვე მოამზადა და უკვე უჩვენა შ. დადიანის „გუშინდელნი". რეპერტუარშია აკაკი წერეთლის „პატარა კახი".

თეატრის რეჟისორად მოწვეულია დ. კობახიძე. დირექტორია ნ. ცერცვაძე. თეატრის ძირითადი შემადგენლობა ადგილობრივი ძალებისაგან შესდგება.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები—№ 2841250, გაცემული ევგენი ნიკოლოზის-ძე ბარბაქაძის სახელზე, № 2840831—პავლე საჩინოს-ძე ბარბაქაძის სახელზე, № 2841124—მიხეილ თევდორეს-ძე გოგატიშვილის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 0985727, გაცემული მიხეილ დიმიტრის-ძე კიკაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2846576, გაცემული მიხეილ თომას-ძე ზარიძის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 1683118, გაცემული ვასილ პავლეს-ძე ობოლაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

22 იანვარს, საღამოს 8 საათზე, **ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში** შესდგება პროფესორ გოგიბერიძის ლექცია თემაზე: **„მარქსისტული ფილოსოფიის ლენინური ეტაპი".** რუსულ ენაზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია სწარმოებს დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „დაისი" (ტალ. № 97), მარჯანიშვილის სახელობის — „ნაპერწკლიდან", მუსკომედია — „ნაპერწკლიდან".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „პატრიოტი", დამკვრელი—„ლენინი 1918 წელს", კომკავშირელი — „სიმღერა მოპოვებული ბედნიერებისა", სპარტაკი — „თოფიანი კაცი", ლუქსემბურგის სახ. — „სიმღერა მოპოვებული ბედნიერებისა", კომინტერნი — „უმაღლესი ჯილდო".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

21 იანვარს	22 იანვარს	23 იანვარს
მუდმ. ადგ. ტალ. № 97 **დაისი**	**წარმოდგენა არ არის**	მუდმ. ადგ. ტალ. № 98 5 აქ. 5 წარმ. **კარმენ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

22 იანვარს	23 იანვარს	26 იანვარს
მუდმ. ადგ. ტალონი № 96 **თოფიანი კაცი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 97 **გუშინდელნი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 98 **თოფიანი კაცი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.

21 იანვარს	22 იანვარს	23 იანვარს
ნაპერწკლიდან	**ნაპერწკლიდან**	**მზის დაბნელება საქართველოში**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი პლეხანოვის, 182 (ყოფ. მუშტაიდი)

21 იანვარს	22 იანვარს	23 იანვარს
ნაპერწკლიდან	**ნაპერწკლიდან**	**სკაპენის ოინები**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახესტრადის საზამთრო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123. ტელ. 3-66-01.

22 იანვარს	23 და 24 იანვარს
ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო I მონაწ. სახესტრადის ანსამბლი **დავით კავსაძის** ხელმძღვანელობით. II სახესტრადის მეზონგურე ქალთა ანსამბლი **ალ. ფოსხვერაშვილის** ხელმძღვანელობით. III **სახესტრადის მსახიობები** დასაწყისი 9 საათზე შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.	**ოდესის ესტრადის მსახიობთა საღამოები** დაწვრილებით აფიშებში **26, 27, 28, 29, 30 იანვარს** მოსკოვში სომხური დეკადის მონაწილე სახელმწიფო **ჯაზის კონცერტი** დამსახ. მოღვაწის ორდენოსან აივაზიანის მხატვ. ხელმძღ. დასაწყისი 9 საათზე ბილეთები იყიდება სახესტრადის სალაროში დილის 11 ს.—3 ს., საღ. 6 ს.—10 ს. სწარმოებს განცხადებების მიღება კოლექტიურ დასწრებაზე. 200

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველო
აცხადებს კლიენტურის საყურადღებოდ, რომ სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 25/II № 362 დადგენილების საფუძველზე
ზედნადებებისა და ნაკლადნების
ანგარიშსწორებისათვის ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მთავარი ბუღალტერიის შემოსავლის აღრიცხვის სექტორში (თბილისი, ჩელუსკინელთა ქ. № 15, ოთახი № 363)
საჭიროა წარდგენილ იქნას შემდეგი ცნობები:
ა) კლიენტის სრული და შემოკლებული დასახელება;
ბ) ადგილსამყოფელი და დაწვრილებითი მისამართი;
გ) საანგარიშსწორებო ანგარიშის № და რომელ ბანკშია;
დ) იმ სამეურნეო ერთეულების სრული სია, რომლებიც შედიან ორგანიზაციის შემადგენლობაში ა, ბ და გ მუხლების მიხედვით ცნობების აღნიშვნით.
504 5—5 **რკინიგზის სამმართველო.**

თბილისის მაუდის ფაბრიკასთან არსებული საქ.-საფ. სკოლის დირექცია აცხადებს
მოწაფეთა მიღებას 1939-40 სასწავლო წლისათვის.
მოწაფეებს მიეცემათ სტიპენდია 65 მანეთიდან 108 მანეთამდე. უფასო სადილი, ტრამვაისა და კინო-თეატრების ბილეთები. საერთო ბინით უზრუნველყოფილი იქნებიან.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დირექციას.
მისამართი: თბილისი, ბრძოლის ქ. № 108-ა მაუდის ფაბრიკასთან.
21 **დირექცია.**

ნინუცა ბაქრაძის შვილები: ასისო, კოლია, გრიგოლ ცოლშვილით, პაშა, ნადო ქმარშვილით, უჩა ჯადარიძე ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარი ნათესავისა და მეგობრის
სამსონ ტომარაძის
გარდაცვალებას. 4689

საქართველოს რესპუბლიკური საფინანსო კურსების ლექტორთა შემადგენლობა იუწყება ამავე კურსების ლექტორ ზაქარია მამალაძის ძმის
ალექსანდრე გიორგის-ძე მამალაძის
გარდაცვალებას. 4691

ქმარი ევგენი შვილებით იუწყება, რომ 23/I 2 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია
მარო ისააკის-ასულ სანაძე-ბუაძის
სამოქ. პანაშვიდი. 4692

მშობლები ოლია, ლევან, ბებია კატო, ბაბუა ლადიკო, ბიძა უორეჯ ცოლშვილით კოხაძეები იუწყებიან დაუვიწყარ პატარა
კოლიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 19/I ქ. თბილისში. 4685

დედა გაიანე, ცოლი ზინა, შვილი ნოდარ, და ცაცა, ძმა შოთა, რძალი იულია შვილებით იუწყებიან, რომ 22/I 12 ს. ს. მაღლაკში დანიშნულია
ვასილ ლუკას-ძე ქვაჩაკიძის
სამოქ. პანაშვიდი. 4690

ორთაჭალის ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა იუწყება კოლმეურნეობის უფროსი ეკონომისტის
იაკობ (იაშა) სილიბისტროს-ძე ნარსიას
გარდაცვალებას. 4693

შვილი ვალოდია, ქალიშვილი ლოლა, რძლები დარეჯან, ნინო, ტატიანა, სიძე ტრიფონ მეგრელიშვილი იუწყებიან
მიხეილ პეტრეს-ძე მინდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ჩოხატაურში 23 იანვარს.

შვილი ალექსანდრე, რძალი ლუბა, შვილიშვილები ელიკო, ვენერა, ლუარა სიგუები იუწყებიან საყვარელ
ივლიტა სიმონის-ასულ ბალათურია-სიგუას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/I 7 ს. ძნელაძის, 30. გამოსვენება 23/I 4½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 4687

მეუღლე მატრონა, შვილები ძაძუ, გრიშა, სიძე ნიკო, შვილიშვილები თამარ, ჟორა, ლუბა ადამიები იუწყებიან
უჩანა ალექსის-ძე ნადარეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/I 5 ს. ცხაკაიაში. 4683

მშობლები არსენა, შუშანიკა, ძმა კოშია, და ლუდა მატუები იუწყებიან საყვარელ
ლევერიანე არსენის-ძე მატუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/I სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რაიონი). 4684

მეუღლე ტრიფონ ჩხეიძე, ქალიშვილი ნინო, სიძე დავით მდივანი, შვილიშვილი ნანული იუწყებიან, რომ 24/I 4 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება
ქრისტინე ალექსის-ასულ ბეჟაძე-ჩხეიძის
სამოქ. პანაშვიდი. 4688

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—№ 721